# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 12 თებერვალი, 2013 წელი.

№26 (7153)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# ხალხი მოუთმენლად ელის ამომწურავ პასუხს




## ვეკითხებით საქართველოში „კორუფციის მიწასთან გამსწორებელ“, ვადაგასულ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს



1 ოქტომბრის არჩევნებში სავსებით კანონიერად დამარცხების შემდეგ ქვეყნისა და ხალხის წინაშე სამუდამოდ თავშერცხვენილი ნაციონალები თქვენი მეთაურობით კვლავ ძველი ამპარტავნული რიხით განაგრძობთ ხმამაღალ ლაპარაკს თქვენს ანტიკორუფციულ დამსახურებაზე, მაგრამ აწ უკვე გასული 100 დღის განმავლობაში არც ერთს და, უპირველესად, თქვენ თვითონ ერთი სიტყვაც არ დაგცდენიათ იმის თაობაზე, თუ რატომ არიან ქვეყნიდან გაქცეულები თქვენი „ფრთიანი ანგელოზების“ ლაშქრის ყოფილი „უპატიოსნესი“ ბობოლები:

1. ზურაბ ადეიშვილი,
2. დიმიტრი შაშკინი,
3. მურთაზ ზოდელავა,
4. დათა ახალაია,
5. მეგის ქარდავა,
6. სოსო თოფურიძე,
7. ხათუნა კალმახელიძე...



ხოლო რაც შეეხება ასევე საზღვარგარეთ გაქცეულ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს **ირაკლი ჩიქოვანს**, რატომ იღებს იგი დღემდე თავის ვითომ კუთვნილ უზარმაზარ ხელფასს, როგორც ამბობენ, 20 ათას ლარს?!.

ასეთ ვითარებაში, ცოტა არ იყოს, უხერხული ხომ არ არის თქვენგან დეკრიმინალიზაციის ამნისტიის დაჟინებით მოთხოვნა?!.

**იქნებ, დროულად გვიპასუხოთ, მიხეილ ოპოზიციონერო, ან ვინმე თქვენს თავგადაკლულ დამქაშს აპასუხებინოთ, რა ხდება?**

**ხალხი მოუთმენლად ელის ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს...**

# პირველი სისხლი

## მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს

ყველა ადამიანის მუშტის მოქნევის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირი.

მიხეილ სააკაშვილი

3



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**დოკუმენტი**

# ქვეყნის საგარეო კურსი და უმრავლესობის 14-პუნქტიანი შეთანხმება

**მმართველი** საპარლამენტო კოალიცია ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით პარლამენტში წარმოდგენილ ფრაქციებს 14-პუნქტიან შეთანხმებას სთავაზობს, რომელიც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა თედო ჯაფარიძემ გასაცნობად და შესათანხმებლად საპარლამენტო ფრაქციებს, მათ შორის უმცირესობაში წარმოდგენილ ფრაქციებს გადაუგზავნა. პროექტის სამუშაო ვარიანტს უცვლელად გთავაზობთ:

**„საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა შეთანხმება საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ.**

საქართველოს საპარლამენტო ფრაქციები ხელმძღვანელობენ რა საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით;



ადასტურებენ რა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანის პრიორიტეტულობას;

გამოხატავენ რა მისწრაფებას, ხელი შეუწყონ საერთაშორისო ურთიერთობათა ასპარეზზე საქართველოს, როგორც საიმედო, პროგნოზირებადი საგარეო პოლიტიკის მქონე პარტნიორის რეპუტაციის დამკვიდრებას;

მიიჩნევენ რა, რომ საგარეო ურთიერთობათა სფეროში ეფექტური პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობის და მრავალმხრივი კონსულტაციების საფუძველზე ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრატეგია;

საქართველოს პარლამენტის ფრაქციები თანხმდებიან ერთიან მიდგომებზე გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ:

**1. საქართველოს საგარეო ურთიერთობების კურსი უნდა ემყარებოდეს ეროვნული ინტერესებისა და საერთაშორისო ვალდებულებებს შორის ბალანსის პრინციპს;**

**2. სახელმწიფო მართვის სისტემის მთავარი ამოცანაა ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.**

**3. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციაში გაერთიანება. ამ სტრატეგიული მიმართულების წარმატებით რეალიზაციის ძირითადი წინაპირობაა დემოკრატიული ღირებულებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების უპირობო დამკვიდრება;**

**4. საქართველო სრულად იზიარებს მოვალეობებს იმ გამოწვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთა წინაშეც დგას მსოფლიო. ამ მიმართებით საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობა, კერძოდ, სამხედრო ოპერაციებში წვლილის შეტანა, უნდა განიხილებოდეს როგორც ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი;**

**5. დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება ხელს შეუწყობს როგორც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდას, ისე შიდაპოლიტიკური დაძაბულობის განეიტრალებასა და კონფლიქტების სრულმასშტაბიანი მოგვარების პროცესის წარმატებას;**

**6. უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა იმ პირობის შესრულება, რომლებიც საქართველოს საშუალებას მისცემს, წარმატებით დაასრულოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან ასოცირებასთან დაკავშირებით, განავითაროს თანამშრომლობა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა„ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის„ ფარგლებში ოთხი ძირითადი მიმართულებით: დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, გარემოს დაცვა და ენერგოუსაფრთხოება, ადამიანთა შორის ურთიერთობები;**

**7. საქართველოს პოლიტიკა არ უნდა იყოს მიმართული მსოფლიო და რეგიონული მასშტაბით მიმდინარე დაპირისპირებების პროცესში სტრატეგიული მოთამაშის როლის შესრულებისაკენ. საქართველო პოლიტიკურად მიმზიდველი უნდა იყოს თავისი მშვიდობისმყოფელი ხასიათით;**

**8. ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან, ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობების თანახმად;**

**9. საქართველოს ინტერესებშია, რომ მისი ფაქტორი აღარ ფიგურირებდეს დასავლეთსა და რუსეთს შორის წინააღმდეგობრივ საკითხთა ნუსხაში. საქართველო მზად უნდა იყოს, საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით დაიწყოს დიალოგი რუსეთთან, რომლის მიზანიც იქნება არსებული კრიზისის ეტაპობრივი დაძლევის სტრატეგიის შემუშავება, ქვეყნის დეოკუპაცია და სუვერენიტეტის დაცვა;**

**10. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის განვითარება დაეფუძნება კეთილმეზობლობისა და მჭიდრო კულტურული თანამშრომლობის ისტორიულ გამოცდილებას და ტრადიციებს, რომლებიც არ უნდა იქნეს გამოყენებული რუსეთთან დაპირისპირების გასაღრმავებლად;**

**11. დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკით საქართველომ უნდა შეიძინოს კავკასიური ინტერესების გამაერთიანებლის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და პოლიტიკური მოლაპარაკებების ხელშემწყობის ფუნქცია. მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება მეზობელ აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან. ამ ქვეყნებისათვის საქართველო უნდა იქცეს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების, ბიზნესშესაძლებლობების რეალიზაციის პლატფორმად;**

**12. ტრანსნაციონალური პროექტებისათვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება კასპიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან;**

**13. საქართველომ მნიშვნელოვნად უნდა გაააქტიუროს მრავალმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროპის სხვა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის, სუამის ფორმატებში;**

**14. საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად საქართველო სრულად გამოიყენებს პროფესიონალ დიპლომატთა ყველა თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს. ამასთან, მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ქვეყნის აკადემიური და საექსპერტო რესურსები, შეიქმნება კვალიფიციური დიპლომატიური კორპუსის მომზადების სისტემა.**

ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით პარლამენტში კანონპროექტის სახით ინიცირებულია ოპოზიციის, კერძოდ კი, გიორგი ბარამიძის ავტორობით მომზადებული საკანონმდებლო პროექტი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური კურსის ურყევობა კონსტიტუციით განისაზღვროს.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, დოკუმენტი ფრაქციებს 18 იანვარს დაეგზავნათ და შენიშვნების წარდგენის ვადა 10 თებერვალს ამოიწურა.

# შეუძლია ვინმემ თქვას, რომ ნაძირალა იყო, ღარიბაშვილმა ახლა გაიგო?




**შს მინისტრი** ირაკლი ღარიბაშვილი თბილისის მერის გიგი უგულავას მიერ საგამოძიებო უწყებაში გამოცხადებაზე უარის თქმას სამარცხვინოს უწოდებს. იქნება ეს გიგი უგულავა, თუ ნებისმიერი სხვა მოქალაქე, ყველა თანაბარია კანონის წინაშე. — ჩემთვის გაუგებარი და სამარცხვინოა, რომ ქალაქის მერი უარს ამბობს დაკითხვაზე მისვლაზე. ვფიქრობ, რომ ესაა დიდი პრობლემა. როგორც ჩანს, საქართველოში არსებობდა პრივილეგირებულთა კასტა. ჩვენს ხელისუფლებაში ეს ასე აღარ იქნება. საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია, რომ პირი, მით უმეტეს ქალაქის მერი, აღიარებდეს კანონის უზენაესობას,— აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

აღნიშნულ კონტექსტში მან ყველას, მათ შორის პოლიტიკურ ოპონენტებს კანონის პატივისცემისკენ მოუწოდა.

**— მოვუწოდებ ყველას, კანონს სცენ პატივი. აღიარონ მისი უზენაესობა. ასევე, სცენ პატივი გამოძიებას და სამართალდამცავ ორგანოებს. კანონში კარგად არის გაწერილი, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირი არ გამოცხადდება გამოძიებაზე. მივმართავ ყველას, მათ შორის პოლიტიკურ ოპონენტებს, რომ არავინ დაარღვიოს კანონი,** — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება იმას, მოხდება თუ არა იძულებითი ღონისძიებების გამოყენება „ნაციონალური მოძრაობის„ სხვა წარმომადგენლების მიმართ, მინისტრის განმარტებით, საგამოძიებო ორგანო იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

ამასთან, დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვით, თუ თბილისის მერი გიგი უგულავა დაკითხვაზე არ მივა, მის მიმართ იძულებითი ღონისძიებები განხორციელდება.

მინისტრი აცხადებს — **ვეჭვობ, რომ ეს იყო ძალიან კარგად დაგეგმილი, პროვოკაციულად გაწერილი დეტალური გეგმა, რომელიც მაღალპროფესიულად შეასრულა ქალაქის მერმა გიგი უგულავამ.**

მისი თქმით, უშიშროების საბჭოს მდივანმა ტელეფონზე დაურეკა და ბიბლიოთეკაში ალტერნატიულ შესასვლელებზე ისაუბრეს.

**— ჯერ მან დამირეკა და მითხრა, ბიბლიოთეკის წინ იკრიბება აგრესიულად განწყობილი დემონსტრანტების ჯგუფი და დაცული იქნება თუ არა უსაფრთხოების ზომებიო? ვუპასუხე, რომ ყველაფერზე ვიზრუნეთ, ავუხსენი, რაც გვქონდა დაგეგმილი, ალტერნატიული შესასვლელების შესახებაც ვუთხარი. ორი შესასვლელ-გასასვლელი იმიტომ დავგეგმეთ, ერთის ბლოკირება თუ მოხდებოდა, პრეზიდენტი და სტუმრები მეორე გასასვლელის გამოყენებას შეძლებდნენ უპრობლემოდ. მან მადლობა გადამიხადა. ამის შემდეგ პრეზიდენტის მისვლა ორჯერ გადაიდო. ვეჭვობ, რომ ეს იყო ძალიან კარგად დაგეგმილი, პროვოკაციულად გაწერილი დეტალური გეგმა, რომელიც მაღალპროფესიულად შეასრულა ქალაქის მერმა გიგი უგულავამ, მაგრამ ჩაეშალათ ჩანაფიქრი. მათ სურდათ, კიდევ უფრო მძიმე ფორმა მიეღო დაპირისპირებას, უფრო მძიმედ დაშავებულიყვნენ თვითონაც და მეორე მხარის წარმომადგენლებიც. სამარცხვინოა, რომ ამბობენ, პოლიცია არ მოქმედებდაო. ძალიან კარგად ჩანს ვიდეოფირზე, რას აკეთებს პოლიცია. მათთვის განსაზღვრულ ადგილზე იდგნენ სამართალდამცველები. გასასვლელები აბსოლუტურად სუფთა იყო, აბსოლუტურად ვაკონტროლებდით, ვიმეორებ, ჩვენ და სამთავრობო დაცვა. უგულავა კი როგორ იქცევა ამ დროს? აგრესიული ყიჟინით მოდის, „გინდათ შოუ? — ყვირის, — დადგით შოუ“ და სხვა სამარცხვინო შეძახილები ისმის მისგან. ის არ სარგებლობს წინასწარ განსაზღვრული ალტერნატიული, ჩვენ მიერ კონტროლირებადი გზით, არამედ ჯიქურ, „ნაციონალებთან“ ერთად მიდის დემონსტრანტების მორევში. კარგად ჩანს, როგორ აღიზიანებს უგულავა ისედაც უკიდურესად გატანჯულ მოქალაქეებს,** — აცხადებს შსს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.



შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, **თუ თბილისის მერი გიგი უგულავა დაკითხვაზე არ მივა, მის მიმართ იძულებითი ღონისძიებები განხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ძველი თბილისის რაიონულ პოლიციაში ქალაქ თბილისის მერი, ბატონი გიგი უგულავა მოწმის სახით დაკითხვაზე იყო დაბარებული, იგი საგამოძიებო ორგანოში არ გამოცხადდა, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა. მართალია, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწმის სახით წინა სასამართლო გამოძიების ეტაპზე პირის დაკითხვა და მისი იძულებით მოყვანა საგამოძიებო ორგანოში არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ეს ახალი წესი ამოქმედდება 2013 წლის 1 დეკემბრიდან, როგორც ეს მითითებულია დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველ ნაწილში,** — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

**უწყებაში ასევე აცხადებენ, რომ დღეისთვის გამოძიების ეტაპზე დაკითხვასთან დაკავშირებით მოქმედებს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის I ნაწილით დადგენილი იმპერატიული წესი, რომლის თანახმად, მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გამოძახებით.**

**ინტერპრესი**

# უარის თქმა იმაზე, რომ პარლამენტი და მთავრობა ერთ ქალაქში იყოს, არასწორია

**იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის ვახტანგ ხმალაძისთვის გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდეს ერთის მხრივ, პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ინიციატივა, ხოლო მეორეს მხრივ, პარლამენტის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით შემუშავებული პროექტი.**

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ამ ორ პროექტთან დაკავშირებით უმრაველესობასა და უმცირესობას შორის შედგეს ერთგვარი გარიგება, რომლის ფარგლებშიც პრეზიდენტის უფლებამოსილების ინიციატივის მხარდაჭერის სანაცვლოდ, უმრავლესობა დღის წესრიგიდან მოხსნის პარლამენტის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ საკითხს, ვახტანგ ხმალაძემ განმარტა, რომ პირადად მისი პოზიციაა უარის თქმა იმაზე, რომ პარლამენტი და მთავრობა ერთ ქალაქში იყვნენ, არასწორია. ხმალაძემ აღნიშნა, რომ ეს ქვეყნის განვითარებას არ წაადგება.

— უნდა გაკეთდეს ყველაფერი იმისთვის, რაც არის აუცილებელი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის და არა იმის მიხედვით, რა მომწონს მე და რა მოწონს მათ, — დასძინა ვახტანგ ხმალაძემ.

დეპუტატი იმასაც აცხადებს, რომ მისთვის ასევე გაუგებარია თუ რატომ შეიძლება მიებას პარლამენტში ინიცირებულ საკონსტიტუციო პროექტებს კონსტიტუციური ქვორუმის აწევის საკითხი, რა წინადადებასაც საპარლამენტო უმრავლესობას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სთავაზობს.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# პირველი სისხლი

## მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს

**ყველა ადამიანის მუშტის მოქნევის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირი.**

**მიხეილ სააკაშვილი**



8 თებერვალი ახალი ნიშნულია ჩვენი ხელისუფლების ჟამთაღწერაში.

ახალი ნიშნული, თორემ ისეთი, რაც არ გვენახოს, არაფერი მომხდარა.

უარესიც გვინახავს.

ცხედრები გვინახავს.

ახლა კი, მადლობა ღმერთს, ოდენ ჩიორა თაქთაქიშვილის დასისხლიანებულ, ოდესღაც მწყაზარ სახეს დავჯერდით.

მაგრამ მთავარი შედეგი 8 თებერვლის ცემა-ტყეპისა, უფრო „წონიანია“.

დავუკვირდეთ: აქამდე პოლიცია წაიგდებდა ხოლმე ფეხქვეშ ხალხს პოლიტიკური მოსაზრებით.

ამჯერად ხალხი სცემდა ერთმანეთს, ისევ „პოლიტიკური მოსაზრებით“.

ეს საზოგადოების გახლეჩვის მანიშნებელია.

საზოგადოების გახლეჩვა სამოქალაქო დაპირისპირების ბოროტი ყვავილია, ვულკანის ამოფრქვევის წინ რომ გაიფურჩქნება ხოლმე.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

ჯერ კი ის, თუ როგორ მივედით ეროვნულ ბიბლიოთეკამდე.

მივედით თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ.

თავი და თავი: უმრავლესობამ სერიოზული შეცდომა დაუშვა 8 თებერვალს პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიური საანგარიშო მოხსენების გადადებით. პრეზიდენტმა „თამაში“ მიიღო და ვა-ბანკზე წავიდა – გამოსვლა მაინცდამაინც იმავე დღეს, თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაგეგმა.

თავიდანვე აშკარა იყო, რომ გამოსვლის ეს ახალი ადგილი შეიძლება ბაზალეთად ქცეულიყო.

როცა საჯილდაო ქვის – საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცებამდე – მიიწვია სააკაშვილი პარლამენტში, უმრავლესობა, როგორც იტყვიან, კაპიკ-კაპიკ აგროვებს საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდამჭერ ხმებს და უცებ, ისე, რომ ყულაბა ბოლომდე არ აუვსია, პრეზიდენტს თავისთან იწვევს. ისეთი გამოცდილი, გველის ტყავში გამძვრალი ორატორი, როგორიც ბ-ნი მიშაა, ნაცადი ენამრავლობით უმალ შეკრავდა მომხრეების შერყეულ რიგებს და უმრავლესობის მთელი ამ ხნის ჯახირს საკონსტიტუციო უმრავლესობის მოსაპოვებლად, წყალს გაატანდა.

უმრავლესობამ ეს ვერ გაითვალისწინა.

მაგრამ უკვე დაგეგმილი გამოსვლის გადადებაც არანაკლები შეცდომა იყო.

მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება, პარლამენტისთვის გამიზნული ანგარიშით საზოგადოების წინაშე წარმდგარიყო ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რათა ერთგვარად „საპარლამენტო შთაბეჭდილება“ (ეროვნული ბიბლიოთეკა პარლამენტს ეკუთვნის) შეექმნა იმის ნაცვლად, რომ თუ ასეთი გადაუდებელი რამ სათქმელი ჰქონდა, ავლაბრის სასახლიდან გაეცხადებინა (როგორც ბოლოს მაინც ასე მოხდა), თავიდანვე იყო საფრთხის შემცველი. უაღრესად გაღიზიანებულმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით ამნისტირებულმა პოლიტპატიმრებმა და ციხეებში უსამართლოდ, უკანონოდ დასჯილ-ნატანჯმა ადამიანებმა, უმალ ბიბლიოთეკასთან იწყეს თავმოყრა გულუბრყვილო იმედით, შიგნით შეეღწიათ და პრეზიდენტისთვის კითხვები დაესვათ, რომლებზეც აქამდე პასუხი ვერავინ გასცა.

პრეზიდენტმა ასეთი სახიფათო და მცდარი გადაწყვეტილებით (იგი წლიური საანგარიშო მოხსენებით პარლამენტში, პარლამენტართა წინაშე უნდა გამოვიდეს და არა ბიბლიოთეკაში, ჭრელი და შემთხვევითი ადამიანების წინაშე) ჩიხში შეიყვანა ვითარება და ხალხი.

მისი ეს მცდარი საქციელი სულაც არ არის ადეკვატური პასუხი პარლამენტის არასწორ საქციელზე.

ადგილი (ბიბლიოთეკა), რომელიც მ. სააკაშვილმა აირჩია თავისი საანგარიშო მოხსენებისთვის, იქ შექმნილი ოპერატიული ვითარების გათვალისწინებით, სავარაუდოს ხდიდა, ის მომხდარიყო, რაც მოხდა – უკვე შუადღიდან იქაურობა ხალხით გაიჭედა.

ამის შემდეგაც შეიძლებოდა მდგომარეობის უსისხლოდ გადარჩენა გამოსვლის პრეზიდენტის სასახლეში გადატანით.

მაგრამ ეს არ მოხდა, რაც მაფიქრებინებს, რომ უთუოდ რაღაც ჩანაფიქრი არსებობდა, შესაბამისი დასასრულით, დაახლოებით ვ. არძინბას ცნობილი განათქვამის შესაბამისი: „ჩვენ, აფხაზები, გაიძულებთ თქვენ, ქართველებს, რომ პირველებმა გვესროლოთ!“

თვალი მივადევნოთ იმ დღის რეტროსპექტივას. თავიდან ყველაფერი წყნარად მიმდინარეობდა, ანუ ბიბლიოთეკის წინ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და წყნარად საუბრობდა, პოლიციის სიხშირე აშკარად გეცემოდა თვალში, მაგრამ მათ ყოფნას არავინ აპროტესტებდა.

პირველი ხმაური და მღელვარება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის თენგიზ გუნავას ყელმოღერებულ გამოჩენას მოჰყვა. თუმცა მცირე ხნით. გუნავამ ხალხი გაარღვია და ბიბლიოთეკის კარში შევიდა („შეფეთა“ უფრო სწორი იქნებოდა, მაგრამ ჯანდაბას შევიდა თუ შეფეთა), და კაი ხანს აღარ გამოჩენილა.

იგი პირველი მერცხალი იყო და ტოტალური მღელვარება არ გამოუწვევია.

მეორე გიგი უგულავა გახლდათ უფრო სწორედ, გიგი და მისი რაზმი.

აბა ის მოვიდა თუ მოვიდა!

კი არ მოვიდა, მოიჭრა, მოთქარუნდა, მოფრინდა. სწორედ რომ არწივის ფრთებივით იქნევდა ხელებს და ჰყვიროდა: „მოდით, მოდით, აბა ჰე, შოუ დავდგით, მოდით, მოდით!“

დადგა კიდეც „შოუ“. ეს ნასტიქაროსნალი კაცი, რომ იტყვიან, დევგმირულად გადაეშვა ხალხში და დასცხო.

გიგის „მოფრენა“ ნაპერწკლად იქცა, რომელმაც კოცონი ააბრიალა და დაიწყო!.. მე არ ვიცი, მართლაც ფართო პროვოკაცია თუ ჰქონდა ჩაფიქრებული თბილისის მერს, მაგრამ სწორედ პროვოკაცია რომ გამოუვიდა, ნაღდია!

დამკვრელი რაზმიდან გამორჩეულად დავით დარჩიაშვილმა და გიორგი კანდელაკმა ისახელეს თავი. ეს თითქოს გაწონასწორებული, დინჯი და დაკვირვებული დარჩიაშვილი მამალივით ხტოდა და პროფესიული მოკრივის სისხარტით ურტყამდა. კანდელაკი უფრო წიხლებს ხმარობდა.

მარჯვედ ირჯებოდა ლევან ბეჟაშვილი.

ავად აკვესებდა თვალებს კობა ხაბაზი.

დროდადრო სისხლის ბოტოტიანი ჩიორა თაქთაქიშვილი გაიელვებდა ბრბოში და ანათემას გადასცემდა ყველას.

ფიცხელი ომიდან ტელეჟურნალისტის მიერ გამოხმობილი გიგა ბოკერია მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ უმალ მიანიშნა, ყველაფერში დამნაშავე ივანიშვილიაო. მისმა მეუღლემ თამარ ჩერგოლეიშვილმა ასეთ მძიმე ვითარებაშიც მოახერხა კეკლუცად გაღიმება და მოკლედ მოჭრა დაახლოებით ასე: „ივანიშვილი ჩათლახია“ (ყოველ შემთხვევაში, შინაარსი ასეთი იყო).

საკმაოდ აქტიურობდნენ ახლახან გათავისუფლებული პოლიტპატიმრები მელორ ვაჩნაძე და მიხეილ მესხი...

ვითარება შედარებით განმუხტა შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ბრძოლის ველზე მისვლამ, რაც სწორედ რომ იშვიათი გამონაკლისია საქართველოს უახლოესი ისტორიის პოლიციის ცხოვრებაში. ჩხუბის ახალი კერები აღარ აღმოცენებულა და ნაციონალებიც (ყოველ შემთხვევაში – მებრძოლი ნაციონალები) იქაურობას გაეცალნენ – ხმა გავრცელდა პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციიდან აპირებს ხალხისთვის მიმართვასო და იმათაც იქით მიაშურეს.

საბოლოოდ იმდღევანდელი ომის მსხვერპლი დაზუსტდა – 5 დაშავებული პარლამენტარი უმცირესობიდან. რა თქმა უნდა, ხალხის გატეხილი ცხვირები და ჩალურჯებული უპეები არავის დაუთვლია...

მაგრამ კალამი მომხდარის აღსაწერად როდი ამიღია.

ზარი მინდა შემოვკრა: ეს მხოლოდ დასაწყისია! პრეზიდენტის სახით ჩვენ გვყავს ხელისუფალი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი არეულობა გამოიწვიოს, გადადგას ნაბიჯები, რომლებსაც შეიძლება უბედურება მოჰყვეს – სერიოზული სამოქალაქო დაპირისპირებაც კი.

ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის კონფრონტაცია ღრმავდება. ახლა კოჰაბიტაციის იმედზე მტერი იყოს.

ავლაბრის სასახლიდან „ხალხისადმი მიმართვის“ შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა ერთი ნიშანდობლივი რამ თქვა, რასაც ხალხმა, ჩემი დაკვირვებით, მაშინ ყურადღება არ მიაქცია. არადა, აშკარად დიდი საფრთხის შემცველია. ოღონდ მიშამ ის გაფრთხილებად კი არა, მუქარად თქვა: „ჩვენ გვყავდა პრეზიდენტი, რომელიც გამოკეტეს პარლამენტში, ბოლოს – ბუნკერში და ვიცით რითიც დამთავრდა ეს ამბავი, უფრო სწორად, ჯერაც არ დამთავრებულა აფხაზეთსა და ცხინვალში... ჩემი ამ შენობაში გამოკეტვა, სურთ უუფლებოდ, მას ბუნკერი, ანუ სარდაფი არა აქვს, აქ ყველაფერი გამჭვირვალეა!...

გამგებმა გაიგოს! რაც პრეზიდენტ გამსახურდიას ჩამოგდებით დაემართა ქვეყანას (არეულობა, ქაოსი, სამოქალაქო ომი...), ის დაემართება ჩემი ჩამოგდების შემდეგაცო!..

პრეზიდენტის კიდევ ერთ მინიშნებაზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება. მე არ მომწონს ირაკლი ალასანია, მაგრამ მხარს ვერ დავუჭერ თავდაცვის მინისტრის ლანძღვას, იმას, რომ ყოველ დილას თავზე „აწუწავენო“.

რატომ ჰგონია მიშას, რომ ხალხი იმდენად ბრმაა, რომ ვერ დაინახავს ალასანიასთვის გადაგდებულ „მაშველ რგოლს“, ვერ შეაფასებს მის თვალთმაქცურ მნიშვნელობას..

წითელი პარასკევის მოვლენათა კომენტირებისას განსაკუთრებით ვანო მერაბიშვილის სილაღე მოგხვდებოდათ თვალში. იჯდა გაბადრული, გახარებული და, როგორც სჩვევია, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ზმუილით აკრიტიკებდა შსს-ს და პირადად მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, „თუმცა არ მსიამოვნებს, ქართული პოლიციის კრიტიკაო“. პოლიცია გაუბედავად მოქმედებდა, ღარიბაშვილი აშკარად შეშინებული, ფერდაკარული იყოო.

ამით შეგვახსენა, მე რომ შსს-ს მინისტრი ვიყავი, გადამჭრელად და მარიფათიანად ვირჯებოდი, მე რომ ღარიბაშვილის ადგილზე ვყოფილიყავი, ორი ცხედარი მაინც მექნებოდა სახვალიოდ სადმე შემოდებული და ხუთს კი არა, ათას ხუთასს მაინც ექნებოდა ცხვირ-პირი გასწორებულიო.

მერე ერთი რამეც გაუმხილა იმ დღის მოვლენებით ისედაც გაოგნებულ ტელემაყურებელს.: ნაცმოძრაობაში ჩემი კანდიდატურაც განიხილება პრეზიდენტადო.

ახლა აგვიშენდა ოჯახი!

ღმერთო გვიშველე!

თუმცა ვანოსი რა გამკვირვებია, გვახსოვს პრეზიდენტის კანდიდატთა შორის ერთხელ ბიულეტენში როინ ლიპარტელიანის გვარიც კი იყო შეტანილი.

მაგრამ როინი ერთი უწყინარი, უცოდველი კაცია. ბატონი ივანე კი ისეა ცოდვებით დამძიმებული, ახლა, პატრონი რომ ჰყავდეს, სულზე უნდა ზრუნავდეს. იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანისა არ იყოს, მე მერაბიშვილის ადგილზე ნაკლებს ვიყელყელავებდიო, სწორედ ისეა. როგორც ირკვევა, ვანოს და მიშას ბევრ რამეზე მოუწევთ პასუხის გაცემა!..

ოქტომბრის შემდეგ პირველი სისხლი კი გამოშვებულია, მაგრამ გული მიგრძნობს, მომავალ ოქტომბრამდე დარჩენილ დროში კიდევ ბევრ რამეს უნდა ველოდეთ!

**ალეკო ასლანიშვილი**

ალიან-ჩალიანი

## ჩარეცხილი დარბაზი იტალიურ მაგიდას ელის

**იანვარში ბიუროს სხდომებისთვის განკუთვნილი მეცხრე დარბაზი ჭერში დამონტაჟებულმა სახანძრო მილმა დატბორა, რომელიც დაზიანდა. დარბაზში დეპუტატებისთვის განკუთვნილი მაგიდის ნაწილი და ჭერი დაზიანდა, ხოლო თეთრი სკამები გაყვითლდა. მეცხრე დარბაზის დაზიანების გამო, ბიუროს სხდომები მეოთხე დარბაზში იმართება, რომელიც საკომიტეტო მოსმენებისთვის არის განკუთვნილი.**

**პარლამენტის ბიუროს დარბაზისთვის მაგიდა იტალიაში შეუკვეთეს. როგორც პარლამენტის აპარატის უფროსმა ზურაბ მარქველიძემ განაცხადა, ბიუროს ოთახისთვის მაგიდა იტალიაში უკვე შეძენლია და საქართველოში რამდენიმე დღეში ჩამოვა.**

**მისი განმარტებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობა სახელმწიფოს ბალანსზე არ არის, ბიუროს ოთახისთვის დაზიანებული ნივთების შესაცვლელად ინვენტარი კომპანია „მაგი სტილმა“ შეუკვეთა.**

**რაც შეეხება სახანძრო მილის დაზიანების შედეგად, ბიუროს დარბაზში განთავსებულ დაზიანებულ სხვა ტექნიკას, როგორც მარაქველიძე აცხადებს, მიკროფონები უკვე შეკეთდა.**

**პარლამენტის აპარატის უფროსი ვარაუდობს, რომ პარლამენტის ბიუროს სხდომათა დარბაზი ფუნქციონირებისთვის მზად მომავალ კვირას იქნება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

*ეროვნულ ბიბლიოთეკასთან 8 თებერვალს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“ სდებს ბრალს და პირიქით, ამ მოვლენების შესახებ საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, მე რომ პარლამენტში მისულიყავი, ამგვარი არაფერი მოხდებოდაო. ვანო მერაბიშვილმა კი შინაგან საქმეთა სამინისტრო უმოქმედობაში და უუნარობაში დაადანაშაულა.*

*„საქართველოს ისტორიაში ყველაზე ცუდი დღე იყო, იმიტომ, რომ ქალაქის ცენტრში საჯაროდ პარტიის წევრების სასტიკი თავდასხმები მოხდა. მე, სამწუხაროდ, ბოლო 10 წლის განმავლობაში, პირველად ვნახე დაბნეული პოლიცია და გაფითრებული და დაბნეული შინაგან საქმეთა მინისტრი. ძალიან სინანულით ამევსო გული იმიტომ, რომ ქართულმა პოლიციამ უნდა დაიცვას საქართველოს მოქალაქეები იმ ყაჩაღებისაგან, ვინც ხელისუფლებამ მოედანზე მოიყვანა. ახლა მივხვდით ყველა, თუ რატომ გამოიყვანა ხელისუფლებამ ეს ადამიანები ციხეებიდან, მათ უბრალოდ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ იყენებენ. ბოლოს მსგავსი ფაქტი მაშინ მოხდა, როცა ჯაბა იოსელიანმა ციხიდან გამოიყვანა ყოფილი მხედრიონელები და ისინი მიუქსია მაშინდელ პოლიტიკურ ოპონენტებს. სხვათა შორის, იგივე ადამიანები არიან ახლაც“, — აღნიშნა მერაბიშვილმა.*

*მეორე მხრივ, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პრეზიდენტზე საუბრობს და აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოსვლისას ფიზიკურად, სულიერად და პოლიტიკურად დაკნინებული პოლიტიკოსი იყო.*

*„მე მომეჩვენა, რომ მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც პრეზიდენტობის ვადა იანვარში გაუვიდა, კვლავ და კვლავ ხალხს ვერ გაუგო. ამავე დროს, ის ბრაზი, რაც როგორც ძალიან ბევრ მოქალაქეს, მეც მქონდა დაგროვილი მისი მმართველობის წინააღმდეგ, მისი მოსმენის შემდეგ მთლიანად გამიქრა. ეს იყო, ფიზიკურად, სულიერად და პოლიტიკურად დაკნინებული პოლიტიკოსი, რომლის გამონათქვამების კრიტიკას და შეფასებას ამიერიდან ფასი არ აქვს“, — განაცხადა წულუკიანმა.*

*8 თებერვლის მოვლენების გაგრძელება მელორ ვაჩნაძისა და მიშა მესხის 100-100 ლარით დაჯარიმება და მოქალაქე გიორგი მამალაძის დაკავება იყო. ეს პიროვნება ჩიორა თაქთაქიშვილის ფიზიკურ შეურაცხყოფაში არის ბრალდებული. ამან კი საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია, რადგან კონფლიქტში მონაწილე მეორე მხრიდან პასუხისგებაში მიცემული არავინ არის.*



*შეიძლებოდა თუ არა ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენების თავიდან აცილება, ვინ იყო კონფლიქტის მაპროვოცირებელი და რამდენად ადეკვატურად იქცევა შინაგან საქმეთა სამინისტრო, ამ თემებზე for.ge-ს პოლიტიკური ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** ესაუბრება.*

# სააკაშვილი ისლამისტი ტერორისტების ტაქტიკას მიჰყვება



— მოვლენების გამომწვევი და გამწვავების მსურველი, ალბათ, ქალაქის ხელისუფლება და საპრეზიდენტო ხელისუფლება იყო, რადგან შემდეგი ნაბიჯებიც ასეთი გამწვავების ტენდენციაზე მიუთითებს. მაგალითად, უგულავას ქცევის სტილი და ა.შ. სავარაუდოა, რომ პროვოკაციის ნიშანი დევს პრეზიდენტის გადაწყვეტილებაშიც, რომ სიტყვა ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარმოეთქვა. მას თუ ხალხისთვის მიმართვა სურდა, შეეძლო წმინდა სატელევიზიო მიმართვა გაეკეთებინა, მაგალითად იმ სტილში, ახალ წელს რომ კეთდება ხოლმე, როდესაც სტუდია რეზიდენციაში ეწყობა და ზედმეტი ნერვიულობა არავის უწევს. ან, საერთოდ გაჩერებულიყო სააკაშვილი და დაეცადა იმ მომენტისთვის, როდესაც პარლამენტში მისი გამოსვლა ხელახლა მომწიფდებოდა. მას უთხრეს, არ გამოხვიდეო, მაგრამ მან მაინც დაიწყო ადგილის ძებნა ისეთ ადგილებში, სადაც რაც შეიძლება მეტი ხალხი მოიყრიდა თავს. ტერორისტი ისლამისტები რომ ეძებენ ხოლმე ხალხმრავალ ადგილებს, რათა ნაღმი იქ ააფეთქონ, დაახლოებით ასეთი ტაქტიკა გამოვლინდა სააკაშვილის ქმედებაში. ასე რომ, მე მგონი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ კონფლიქტი მოხდა, უპირველეს ყოვლისა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ეკისრება, მაგრამ სასურველია, მათ გაიგონ, რომ ასეთი კონფლიქტები მათ წისქვილზე არ უშვებს წყალს.

**— ბატონო რამაზ, მოვლენების ასე განვითარების შემდეგ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში საუბრობენ, რომ შესაძლოა, ახალი ხელისუფლება, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო ცოტა უსუსურად გამოიყურებოდა, რადგან მან ვერ შეძლო, კონტროლი აეღო მიმდინარე მოვლენებზე. საზოგადოების მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ ღარიბაშვილიც იმავე სასტიკ მეთოდებს ხომ არ გამოიყენებდა, რასაც თავის დროზე მერაბიშვილის სამინისტრო იყენებდა მომიტინგეების წინააღმდეგო. თქვენი აზრით, რამდენად ქმედითი იყო ამ შემთხვევაში ხელისუფლება?**

— ჯერ ერთი, იმისთვის, რომ პოლიციის იმდღევანდელი საქმიანობა შევაფასოთ, ალბათ, უნდა წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, იქ რომ პოლიცია საერთოდ არ ყოფილიყო. ხალხის ეს მასა შეიკვრებოდა, ეროვნულ ბიბლიოთეკასაც აიღებდა და ბარამიძე შენობაში ასეთი დასვენებული სახით რომ იყო, ისიც ასეთი სახით ველარ იქნებოდა. ეს რომ არ მოხდა, პოლიციის დამსახურებაა. იმედია, შეამჩნიეთ, რომ ხალხის მასა პოლიციის კორდონებით სეგმენტებად იყო დაყოფილი, რაც მის გამთლიანებას და ერთ დიდ ზვირთად ქცევას ბლოკირებას უკეთებდა. რაც შეეხება იმას, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები გალახვას რატომ არ აარიდესო, პოლიციამ მათ მისცა დერეფანი, რითაც ბარამიძემ გაიარა და არ გაილახა. ხომ არ გაკოჭავდნენ ამ ჩიორებს და უგულავებს და ამ დერეფანში ასე ხომ არ გაატარებდნენ?

**— „ნაციონალური მოძრაობა“ ახალ ხელისუფლებას უმოქმედობაში სდებს ბრალს, თუმცა ამ ინციდენტის შემდეგ გარკვეული პირები, მათ შორის, მელორ ვაჩნაძე და მიშა მესხი, ასევე ადამიანი, რომელმაც ჩიორა თაქთაქიშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, დააკავეს. როგორ ფიქრობთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებები მომხდარის ადეკვატურია?**

— ადეკვატური რომ იყოს, მაშინ ჩიორაც უნდა იყოს დაკავებული და ქალაქის მერიც. თვითმკვლელობის პროვოცირებას ვინც ახდენს, დამნაშავეა. ვინც ჩხუბის პროვოცირებას ახდენს, ასევე დამნაშავეა. ამიტომ უნდა შეფასდეს, ახდენდნენ თუ არა ეს ადამიანები ჩხუბის პროვოცირებას. ასეთი შეფასების გარეშე მხოლოდ იმათ მხარეს დამნაშავეების ძიება, ვინც ხელი მოიქნია, არაადეკვატურია.

**— ახლა თქვენს ძირითად პროფესიას, ფსიქოლოგიას მივმართოთ და კითხვას დაგისვამთ, როგორც ფსიქოლოგს. თუ შეიძლება პრეზიდენტის გამოსვლის დროს მისი მდგომარეობა რომ შეაფასოთ.**

— იმ დროს მე ქალაქში არ ვიყავი და მანქანაში რადიოს მეშვეობით ვუსმენდი მის გამოსვლას, ხოლო თვალმა, ასე ვთქვათ, ინფორმაცია ვერ მიიღო.

იმ ყველაფრის შემდეგ, რაც სააკაშვილის თანაგუნდელებთან დაკავშირებით მოხდა, ბუნებრივი იქნებოდა, რომ პრეზიდენტი გაღიზიანებული და გაბრაზებულიც ყოფილიყო, მით უმეტეს, ყველამ ვიცით მისი ხასიათი, თუმცა, პირიქით მოხდა, მისი ტონი შერბილებული იყო და იგი გარკვეულ დათმობაზეც წავიდა, როდესაც განაცხადა, რომ მთავრობას არ დაითხოვს და მზად არის, საკონსტიტუციო ცვლილებებსაც მხარი დაუჭიროს.

**— გარდა ამისა, როდესაც კითხვა დაისვა, მივიდოდა თუ არ იგი პარლამენტში, მან უპასუხა — რა თქმა უნდაო, ანუ ამაში პრობლემას ვერ ხედავდა.**

**თქვენი აზრით, რატომ მოხდა მასში ასეთი გარდატეხა? პრეზიდენტმა ხალხის ძალა დაინახა?**

— მოდით, ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, რადგან მიმაჩნია, რომ ამ კონტექსტში მისი გახსენება სრულიად ადეკვატურია. ჯერ კიდევ ნაციონალების ეპოქის შუა პერიოდი იყო და მომიყვნენ ასეთ ფრაგმენტს — გახსოვთ, ალბათ, ნაციონალები ახალ ციხეებს რომ აშენებდნენ. პრეზიდენტი და მისი გუნდი ერთ-ერთი ასეთი ახალაშენებული ციხის სანახავად უნდა წასულიყო, თურმე აგვიანდებოდათ და ერთ-ერთმა დაუძახა, — „მიშა, წამოდი დროზეო“ და თან ხუმრობით მიაყოლა — „შეიძლება მერე ჩვენც გამოგვადგეს ეს ციხეო“. მიშას კი ამაზე უპასუხია — „ჩვენ რომ რამე დაგვემართოს, ციხემდე მისვლას ვერ მოვასწრებთო“.

**— ამით იმის თქმა გინდათ, რომ მას თავიდანვე ძალიან კარგად ჰქონდა გაანალიზებული, რა პოლიტიკასაც ეწეოდა და რაც შეიძლებოდა ამისთვის მიეღო?**

— ეს ძალიან საინტერესო რეაქციაა ხუმრობაზე და თან ეს არახუმრობითი რეაქციაა. ყველა ხუმრობას გარკვეული ჭეშმარიტება ახლავს, მაგრამ ამ ხუმრობაში ჭეშმარიტების ნაწილი უფრო მეტი იყო. ასე რომ, სხვებს შეიძლება ხალხის დამოკიდებულება ეშლებათ, ან თავს ისულელებენ, მაგრამ მიშამ ძალიან კარგად იცის, რას უნდა გრძნობდეს ხალხი მისი და მისი ხელისუფლების მიმართ. ხომ იცით, ცოდნა ერთია და დანახვა — მეორე. მაგალითად, ასე დაგვემართა ცოცხების შემთხვევაში, ჩვენ ყველამ ვიცოდით, რა ხდებოდა ციხეებში, მაგრამ ეს კადრები რომ ვნახეთ, რეაქცია სულ სხვა იყო. მიშამ იცის, რა ხდება ხალხის განწყობილებაში, მაგრამ 8 თებერვალს დაინახა კიდეც ეს განწყობა. ამ დასისხლიანებული, საწყალი ჩიორას დანახვა მიუთითებს იმაზე, თუ რა შეიძლება დაემართოს მიშას.

გარდა ამისა, მიშამ იცის, როდის იგიჟოს და როდის — არა. თავის გამოსვლაში რომ ის აგრესული და მკაცრი არ იქნებოდა, ეს უკვე სავარაუდო იყო არა მხოლოდ ამ ინციდენტის გამო. მას რომ პარლამენტში გამოსვლის შესაძლებლობა ჰქონოდა, იქაც არ იქნებოდა აგრესიული, რადგან ასეთ მომენტში აგრესიულობაზე მოპასუხე პარლამენტშიც იქნებოდა საპარლამენტო უმრავლესობის სახით, ბიბლიოთეკის შემთხვევაში კი, მოპასუხე, ფაქტობრივად, ქალაქი იყო. ასე რომ, სადაც მიშა პასუხს გრძნობს, იქ აგრესიული არ არის. მაგალითად, ბავშვებს რომ დაპატიჟებს ხოლმე და იმათ ელაპარაკება (ადამიანებს, რომლებიც პასუხისთვის არ წამოდგებიან), იქ არის მიშა ვაჟკაცი, თორემ, როცა საფრთხეს გრძნობს, იქ როგორ იქცევა, ეს უკვე არაერთხელ გვინახავს.

სააკაშვილის სიტყვიდან გამომდინარე, იგი მაქსიმალურად ეცადა, რომ ასეთი ინციდენტები თავიდან აეცილებინა. მან განაცხადა, ქუთაისში რომ ჩავსულიყავი, არაფერი მოხდებოდაო, თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ქუთაისში მას ხალხის საკმაოდ სერიოზული მასა ელოდა და სირცხვილის კორიდორის მოწყობას უპირებდნენ.

**როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტის პარლამენტის წინაშე გამოსვლის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო ამ ინციდენტის თავიდან აცილება?**

ქუთაისში მისი ჩასვლის შემთხვევაშიც ინციდენტი, რა თქმა უნდა, მოხდებოდა და ოქტომბრამდე ასეთ ინციდენტებს ყველგან უნდა ელოდოს პრეზიდენტიც და უკვე ვფიქრობ, უგულავა და საპარლამენტო უმცირესობის ბევრი წევრიც. საუბარი მაქვს თვალშისაცემ ფიგურებზე, რომლებიც შეიძლება ისევ საცემად გადაიქცნენ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარმა მოსახლეობის ნაციონალებისადმი განწყობა უფრო უარყოფითი გახადა?**

— არა მხოლოდ ამ მოვლენამ. გავიხსენოთ, ბევრი თვლის, რომ პრეზიდენტი ამ პოსტს უკანონოდ იკავებს. კერძოდ, კანონში კი წერია, მაგრამ ეს უსამართლოდ წერია. უსამართლობის განცდა პრეზიდენტის ვადის გაგრძელებაზე და შესაბამისად, ნაციონალების ქედმაღლობაზეც, საზოგადოებაში არსებობს. უსამართლობაზე ეს რეაქცია კი (რომელიც ქვეყნისთვის ძალიან სახიფათოა) ოქტომბრამდე გაგრძელდება. მით უმეტეს, რომ უმცირესობა ამ კონსტიტუციური უსამართლობის გამოსწორებაში უმრავლესობასთან პარტნიორობას არ აპირებს. ამიტომ, იქამდე, მოსახლეობა ამ ბრძოლაში იმ გზით და მეთოდებით იქნება ჩაბმული, რაც თვითონ ხელეწიფება. დეპუტატები ტრიბუნიდან იბრძვიან, მოსახლეობა კი ასეთი მეთოდით, თუ შეიძლება ასე დავარქვათ, ლინჩის წესით იხელმძღვანელებს. ამ ლინჩის წესს პროვოცირება არ სჭირდება და ნაციონალები, ეტყობა, ზიზღის იმ ხარისხს ვერ იაზრებენ, რაც მოსახლეობაში მათ მიმართ არის დაგროვილი. ამ ზიზღის ციფრობრივი მონაცემი არჩევნებში მეტ-ნაკლებად გამოჩნდა. ეს მაჩვენებელი გაყალბებით შეამსუბუქეს, თორემ ნაციონალების წინააღმდეგ, ალბათ, 90% იქნებოდა.

**რუსიკო უშიკიშვილი**

## ინფორმაცია

### საქართველოს შტეფან ფულე ეწვევა

**12-13 თებერვალს თბილისში გაიმართება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეორე შეხვედრა. საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, ღონისძიებას ქართული მხრიდან უმასპინძლებს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. ასევე, საქართველოს მხრიდან არაფორმალურ დიალოგში მონაწილეობას მიიღებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი.**

**ევროკავშირის მხრიდან - გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილე ჰელგა შმიდი და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი, ევროკომისარი ტრანსპორტის დარგში სიიმ კალასი. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს ეწვევიან ინიციატივაში ჩართული ყველა ქვეყნის მაღალი დონის დელეგაციები.**

**ღონისძიების მონაწილეები „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შემდგომი განვითარების საკითხებზე იმსჯელებენ, ასევე შეხვედრაზე განიხილება სექტორული, კერძოდ ტრანსპორტის სფეროში დიალოგის საკითხებიც. საგარეო უწყების ინფორმაციით, აღნიშნული ღონისძიება თავისთავად იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ წინ უსწრებს 2013 წლის 28-29 ნოემბერს ვილნიუსში დაგეგმილ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტს და სამიტისთვის უფრო ეფექტურად მომზადების შესაძლებლობას იძლევა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

განსჯა

# ამ სინათლეში ჩრდილებიც ბორიალობენ...

**საქართველოში** ახლა უფრო რთული დროა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ორხელისუფლიანობა! ერთი ხელისუფალი პარლამენტიდან გვესაუბრება ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე, მეორემ სხვა გზა აირჩია, – პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ესღა გვაკლდა, ორი ახალი წელი ხომ გვაქვს და კიდევ სხვა ბევრი ორ-ორი, მაგრამ ყველაზე რთული ორხელისუფლიანობა ყოფილა... ორი ერთმანეთზე დაპირისპირებული ძალა ანგრევს ჩვენს შეხედულებებს, აზრებს, აპირისპირებს ხალხს, და ყველაზე უარესი – ასუსტებს სახელმწიფოს, ემუქრება მის მომავალს. ამიტომ, რაც უნდა კარგად და სამართლიანად იმოქმედოს ჩვენმა ახალმა მთავრობამ, იმდენი ლაფი და ჭუჭყი იღვრება შემორჩენილთაგან, რომ ძნელია რიგით ადამიანს გონება არ დაუბინდოს, სული არ აუფორიაქოს. ნამდვილად რთული დროა! და თუ ვინმე, ამ უცნაურ დროში, მაინც ჭვრეტს და გრძნობს საით არის სინათლე და საით სიბნელე, ეს დიდი გონიერებაა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არიან ადამიანები, რომლებიც იმ სინათლეში ღრუბლებსაც ამჩნევენ. ახლა ამ ღრუბლებზე მინდა ვისაუბრო, ბევრიც საუბრობს და კიდევ უფრო მეტმა უნდა ისაუბროს ყველას გასაგონად, იქნებ გამოსაფხიზლებელი გამოვაფხიზლოთ, სანამ დროა, სანამ ღრუბლებს სავსებით არ დაუჩრდილავს ნათელი არე...

ახალი მთავრობის სამთვიანი თუ ოთხთვიანი მოღვაწეობა იმედებთან ერთად ეჭვებსაც ბადებს. ეს ეჭვები, ზოგიერთებივით, ხასიათობრივ ახირებაზე, ან ვითომცდა სამშობლოს ბედზე მზრუნველთა ყალბ გრძნობებზე როდია დამყარებული, უმცირესობაში მოხვედრის შემდეგ გულზე ხელების ბრაგუნით რომ გაიძახიან – არიქა, გვიშველეთ, ახალ მთავრობას ჩვენს მიერ ძლივს დალაგებული ქვეყანა უკუღმა მიჰყავსო!.. პირველი, ვინც ამას გაიძახის, თავად პრეზიდენტია, რომელმაც თავისი აზრის დასამტკიცებლად აჭარის „პეიზაჟები“გაგვიშალა ტელეეკრანზე, რათა ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ დაერწმუნებინა, თუ როგორ გვენგრევა თავზე ქვეყანა და თუ როგორ სტკივა მას გული ყოველივე ამის შესახებ.

კაცმა მართალი რომ თქვას, როგორ არ მოგიკლავს გულს აჭარელი მებაღეების ეზოებში დასალპობად განწირული, უზარმაზარ გროვებად დაყრილი მანდარინი. უშრომლად, ადამიანის გაურჯელად, ზეციდან არაფერი არ ცვივა, არც მანდარინი და არც არანაირი სხვა დოვლათი, მათ შორის არც ყურძენი... მაგრამ, სამწუხაროდ, პირველი შემთხვევა როდია, როდესაც რთველი, თუ ნებისმიერი მოსავლის აღების დრო, ქართველ გლეხს საჭირბოროტო საქმედ ქცევია აჭარას, კახეთს, ქართლს თუ საქართველოს სხვა რეგიონში, რადგანაც ნედლეულის ჩაბარების პოლიტიკა ასეთი უგერგილო, გლეხის ნაშრომ-ნაამაგარი სათანადოდ ვერ ფასდება, არ ხდება მისი შესყიდვა და აქედან გამომდინარე, არც დამუშავება.

რა ქნას გლეხმა თუ მეპატრონემ, სად წაიღოს გადამწიფებული მოსავალი! აი, ასე იყრება ტონობით ხილი (ან სხვა ნედლეული) მიწაზე და ლპება. წინა მთავრობას, ცხრა წლის მოღვაწეობის განმავლობაში, ეს საქმე რომ მოეწესრიგებინა და სწორ გზაზე დაეყენებინა, ხომ აცდებოდა მანდარინიც და მისი მეპატრონეც ამ უბედურებას. ჩვენს ქვეყანაში მანდარინისა თუ სხვა ნედლეულის ასე უმოწყალოდ დალპობისა და განადგურების შემთხვევები ხშირია... და ვერ ჩავთვლით მხოლოდ სამი თვის წინათ მოსული მთავრობის ბრალად და დანაშაულად, როგორც ეს ჩვენს პრეზიდენტს უნდა ტელევიზიით წარმოგვიჩინოს და გული აგვიჩვილოს (ან ახალი მთავრობის საწინააღმდეგოდ განგვაწყოს) დამპალ-განადგურებული მანდარინებით. თუმცა, საქართველოს მეურნეობისადმი უყურადღებობა და დოვლათის (კერძო საკუთრებაა იგი თუ საზოგადო) ასე უაზროდ განადგურება, პასუხისმგებლობას არავის არ ხსნის, არც ძველსა და არც ახალ მთავრობას... უბრალოდ, ის მინდა ვთქვა, რომ გადაბრალებები და სხვის ნაკლზე საუბარი კი არ სძენს ადამიანს ავტორიტეტს, მხოლოდ საკუთარი შეცდომების აღიარებას, განსჯას, მის გამოსწორებაზე ზრუნვას მოაქვს იგი (ავტორიტეტი).

წერილის დასაწყისში სინათლეზე ვსაუბრობდი. დიახ, იმ დიდ სიბნელეში, რომელშიც გვიწევდა ცხოვრება, როგორც იქნა, რაღაც სასწაულების ძალით, სინათლე შემოიჭრა და მას არა მარტო გაფრთხილება სჭირდება, არამედ დიდი რუდუნებით იგი საბოლოოდ უნდა დავამკვიდროთ ჩვენს მიწაზე, მაგრამ, რას ვშვრებით ჩვენ?

პარლამენტში, ბოლო სხდომაზე უმცირესობასა და უმრავლესობას შორის გამართული დებატები ნებისმიერ კაცს, ვისაც ჩვენი ქვეყნის სიკეთე სწადია, გულს თუ არ მოუკლავდა, ააფორიაქებდა მაინც. საქმე ის არის, რომ ძნელი იყო ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქისათვის მტყუანმართლის გარჩევა. მიუხედავად დავით უსუფაშვილის თითქოსდა საფუძვლიანი განმარტებისა, შორიდან მაყურებელი მაინც ვერ დარწმუნდა, თუ რატომ იყო საჭირო კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა. სინამდვილეში, რთული და გაუგებარი არც არაფერი იყო, მაგრამ იმ დაძაბულობაში, უფრო უარესიც, აზრთა კი არა, ფიზიკურ ჭიდილში, გაუგებრობის შთაბეჭდილება შეექმნა მაყურებელსა და მსმენელს... უმცირესობის მხრიდან მწვავე რეაქციებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ყოველივე ამასთან ერთად საზოგადოებრივ მაუწყებელზე „აქცენტებსაც“ თუ მიადევნებდა თვალს, მაყურებელი უთუოდ ირწმუნებდა უმცირესობის იდეოლოგიას, რომ ქვეყანა გამოუცდელ და პოლიტიკის არმცოდნე ხალხს ჩაუვარდა ხელთ და დღეს თუ არა, ხვალ თავზე დაგვექცევაო.

ასეა თუ ისე, საქართველო მართლაც საფრთხეშია. ზოგიერთმა პოლიტოლოგმა(ბატონი რამაზ საყვარელიძე) ხმამაღლა განაცხადა – სამოქალაქო ომია დაწყებულიო. უბედურება ის არის, რომ ამ საფრთხის გამომწვევნი სხვისკენ იშვერენ ხელს და ათასგვარი ცილისწამებებით ცდილობენ ხალხში ახალი მთავრობისადმი უნდობლობა და ეჭვი გამოიწვიონ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეჭვის გამომწვევი მხოლოდ უმცირესობა როდია. ამ ეჭვების საფუძველი თანდათან შემოიპარა და ახალი მთავრობისადმი იმედებითა და ნდობით აღჭურვილნი საგონებელში ჩაგვაგდო, ვითომ ერთი შეხედვით არცთუ ისე მნიშვნელოვანი საკითხებით, მაგრამ ხომ ვიცით სიავის სათავე წვრილმანიდან იწყება.

ჯერ კიდევ ამ ცხრა წლის წინათ, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება საქმიანობას შეუდგა, პირველი, რითაც ჩემი განცვიფრება გამოიწვია, ეს იყო ჩინოვნიკებისათვის მეტისმეტად დიდი ხელფასების დაწესება. ესეც რომ არ იკმარეს და შემდგომ თითქმის ყოველ თვეში უზარმაზარი თანხებიც დაიმატეს ეგრეთ წოდებული „პრემიების“ სახით,“ ეს უკვე პირადად ჩემს შეხედულებას დემოკრატიაზე კი არა, საერთოდ, პატიოსან, ხალხის მიერ დაქირავებულ ხელისუფლებაზე სავსებით არ ეთანხმებოდა და რა უნდა მექნა, გარდა იმისა, რომ ჩემს პუბლიკაციებში შეშფოთებას გამოვხატავდი. ვერ წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა ეკონომიკურად განადგურებულ ქვეყანაში, მილიონობით უმუშევარის, მშიერის და გაღარიბებულის პატრონს, ანუ ხელისუფალთ, უფლება ჰქონოდა ასეთი დიდ-დიდი ლუკმების (ხელფასები, პრემიები) „დათრევისა“.

მერე და მერე ხომ სულ მთლად თავს გაუვიდათ, სულ დაივიწყეს ხალხი და მათი გაჭირვება, ქვეყანა მხოლოდ თავიანთვის, საკუთარი ოჯახების საამოდ მოიწყვეს, აიშენეს სასახლეები, გასართობი ადგილები, გამდიდრდნენ, გალაღდნენ. ხალხს ზემოდან დაუწყეს ყურება, თითქმის მასხრად აიგდეს. ხალხის მიერ მინიჭებული ძალაუფლება ხალხისავე დასათრგუნად გამოიყენეს. მონებად და მსახურებად აქციეს. მაშ, რა იქნებოდა, როდესაც ხალხის დიდი უმრავლესობა ან სულ უშემოსავლოდ იყო, ან რაღაც უმცირეს პენსიებზე და ორკაპიკიან ხელფასებზე (და ჯერჯერობით ასეა დღესაც).

მარტო პრეზიდენტი კი არა, მთავრობის თითოეული წარმომადგენელი, თითოეული მინისტრი მონსტრად იქცა. თავიანთი სიმდიდრე და უფლებები ხელშეუხებლად, ზეციდან ბოძებულად რომ წარმოედგინათ ხალხის თვალში, მათი დაშინების ათასგვარი მეთოდებიც მოიგონეს... თუმცა, დაშინება რაღად უნდოდათ... როცა ქვეყანაში უსაფუძვლოდ გამდიდრებულთა კლანი შეიქმნება, რომელიც ხელთ იგდებს მთელ ბაზარს, მონოპოლიზებას გაუკეთებს სამრეწველო თუ ნებისმიერ დიდ და მცირე ბიზნესს, როცა ეს მონოპოლისტები მეფური თუ რაღაც ზეაღმატებული ცხოვრების წესს დაიმკვიდრებენ საკუთარ სასახლეებში თუ სამსახურში, როცა მიუწვდომელნი ხდებიან სამსახურებრივი თუ საყოფაცხოვრებო საკითხებით შეწუხებული ადამიანებისათვის, ერთი სიტყვით, რეალობას წყდებიან , ხალხი თავისთავად დათრგუნვილია, მაგრამ ესეც არ იკმარეს. „თანამედროვე გულაგები“ მოიგონეს, მათგან ათვალისწუნებულთა დიდი ნაწილი იქ მოათავსეს, უფრო დიდი შიშის დასანერგად. ძალაუფლებამ და დიდმა შემოსავალმა ასე იცის, უზომო სიმდიდრითა და ძალაუფლებით თავგზააბნეულთ თავი მართლაც ღმერთის მიერ მოვლენილი არსებები ჰგონიათ.

სულ ახლახან ხდებოდა ყოველივე ეს. მოქმედი პირნი ისევ აქ არიან, არსადაც არ წასულან, სადავეებსაც ექაჩებიან, ისევ უნდათ თავიანთი ცხენები ძველ ადგილზე მიაბრუნონ. ძნელია გახსენება, არ გვინდა! და მაინც, რატომ მოვიგონე ყოველივე ეს? აი, გეტყვით, თუმცა უჩემოდაც კარგად იცით, რომ მთავრობის წევრებმა, დიდმა ჩინოვნიკებმა ისეთივე დიდ-დიდი ხელფასები დაიტოვეს, როგორიც მათ წინაპართ ჰქონდათ. კანცელარიის თანამშრომლებმა თურმე 2012 წლის დეკემბერში 340 000 ლარზე მეტი პრემია გამოიწერეს. აბა, როგორ, ბევრს ვმუშაობთო! კი ბატონო, ვინ ამბობს, რომ არ შრომობენ (მადლობა ღმერთს სამუშაო ადგილები აქვთ), ნებისმიერ სამსახურს გარკვეული საშრომი არეალი აქვს. მაგრამ ყველა სამსახურს შესაფერი ანაზღაურება უნდა ახლდეს. როდესაც მეცნიერს, პროფესორს, ექიმსა თუ პედაგოგს მიზერული ხელფასები ეძლევათ, ისეთი, რომლითაც ადამიანი თავს ვერანაირად ვერ ირჩენს, ამ დროს კი ნებისმიერ ჩინოვნიკს, კანცელარიის რიგით მოხელეს ათჯერ და ოცჯერ მეტი ანაზღაურებით უზრუნველყოფს სახელმწიფო იგივე იმ დაბალხელფასებიანთა საშემოსავლოებით, ამას რა ჰქვია, ნუთუ ეს არის ქართული დემოკრატია? გადიდგულდება და თავზე დიდი წარმოდგენა შეექმნება მავანსა და მავანს, რა თქმა უნდა! ფულმა და სიმდიდრემ აუბნია თავგზა ბევრ ეგრეთ წოდებულ ყოფილ დემონსტრანტს, ვითომ სამშობლოსათვის თავგანწირულს... ასეთებს სამშობლოსა და ხალხზე ზრუნვა სულ გადაავიწყა დიდმა შემოსავალმა, მსუყე ცხოვრებამ, უმაღლესი მარკიანი მანქანით მომსახურებამ, მდიდრულმა კაბინეტმა. ყოველივე ამან კიდევ მეტი და მეტი მოანდომა. ასეთი ცხოვრება რომ ნახეს, სწორედ ამიტომ იკლავენ თავს უმცირესობის წარმომადგენლები, ეძნელებათ კვარცხლბეკებიდან ჩამოსვლა და ჩვეულებრივ ხალხში გარევა. მათი ვნება და სურვილი ხალხს აფორიაქებს, ქვეყანას ანგრევს. ნუთუ ვერ ხვდებიან?

ის, რაც დაემართა და ახლაც ჭირს ჩვენს უმცირესობას, ადვილი შესაძლებელია, ეს სენი უმრავლესობასაც გადაედოს. ზოგიერთებმა უკვე შეამჩნიეს რამდენიმე მობორიალე ჩრდილი იმ სინათლეში, რომელიც პირველ ოქტომბერს დიდი გარჯით და რუდუნებით შემოიყვანა ქართველმა ხალხმა ჩვენს ქვეყანაში. უგუნური ადამიანები, ყოფილი დიდკაცები (ნამდვილად ვერ ვიტყვი მათზე ქვეყნის მტრებს...) ცუდად სარგებლობენ ამ ჩრდილებით, ხალხსაც „გეგმაზომიერად“ ამხედრ- აშანტაჟებენ... დიდი სიფრთხილე და ნიჭიერებაა საჭირო საშიშროების თავიდან ასაცილებლად!

**გულნარა სტურუა**

მომხდარის კვალდაკვალ

# ფარისევლური ხმა ოკეანის გაღმიდან

**8 თებერვლის „ეროვნულბიბლიოთეკური“ ჯახაჯუხი ბევრნაირ გამოხმაურებას აიხვევს და დიდხანს იქნება სენსაციებზე გაფაციცებული მედიის ყურადღების ფოკუსში. ამ წერილში ნაცებისა და მათი ბელადის ნაცადი ამერიკელი მეგობრის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილის თანაშემწისა თუ თანაშემწის თანაშემწის (ყოფილის?), პატივცემული და ნაცთაგან უთუოდ პატივნაცემი მეთიუ ბრაიზას გამოხმაურებას უნდა გამოვეხმაურო „ჩემი“ კუთხით.**

შესაშური ოპერატიულობით გაუმართავს ბრიფინგი აშშ-ში 8 თებერვლის თბილისური კოლოზიის გამო. „ვარდების რევოლუცია“ გაუხსენებია, რომელმაც თურმე ისე მშვიდობიანად და კორექტურად ჩაიარა, რომ საქართველო მსოფლიო აღფრთოვანების დონეზე გაიყვანა და დემოკრატიის შუქურად აქცია. ახლა კი რა ხდება? კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს პარლამენტში სიტყვის წარმოთქმის უფლება არ მისცესო. შტატებში ხომ წარმოუდგენელია კონგრესისგან პრეზიდენტის გამოსვლის დაბლოკვა, ამერიკელებისათვის ეს სრულიად გაუგებარიაო.

მისტერ ბრაიზა, ჩემი შეკამათება თქვენამდე რას მოაღწევს, მაგრამ მაინც უნდა დაგიწუნოთ, სამართალია თუ ობიექტურობა; მაინც უნდა მოვიოხო გული და „დავიწყნარო“ აქავებული ხელი...

„ვარდების რევოლუცია“ რომ სანიმუშოდ მიგაჩნიათ მსოფლიო მასშტაბით – ის ხომ სინამდვილეში ბლეფობა იყო, თვით დასახელებიდან დაწყებული („შევარდნების რევოლუცია“ რომ უფრო მოუხდებოდა). ის ხომ გადატრიალება იყო, შტატებისა და ეგებ რუსეთისაც მხრიდან მხარდაჭერილი და ორგანიზებული; როგორ არ გეცოდინებოდათ და, ხომ არ დაგავიწყდათ, როგორ შეუვარდა, თანამზრახველებთან ერთად, მაშინდელი ოპოზიციონერი მიხეილ სააკაშვილი (2003 წლის 23 ნოემბერი იდგა) პარლამენტის სხდომაზე, როგორ არ მისცა ვადაგაუსვლელ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს სიტყვის გაგრძელების საშუალება, როგორ გააქცია, როგორ „დაულია“ ჩაი, როგორ დაარბიეს სხდომათა დარბაზი მისმა ყოჩაღმა მომხრეებმა და კალიებივით როგორ იხტუნავეს მაგიდებზე; ხომ კარგი ნიმუშია მშვიდობიანი რევოლუციისა, ვარდოსნობისა (აღარაფერს ვამბობ მომდევნო მოვლენებზე)!..

ამერიკელებს ვერ წარმოუდგენიათ კონგრესისაგან დაბლოკვა პრეზიდენტის სიტყვისაო, რომ ბრძანეთ – ყავლგასული და 9 თვით „თვითვადაგაგრძელებული“ პრეზიდენტი წარმოუდგენიათ? ეგ ვაჟბატონი თქვენი მეგობარი მიხეილი ხომ უკვე არალეგიტიმური აპირებდა გამოსვლას... თუმცა, თქვენ რატომ მიაქცევდით ამას ყურადღებას, როცა აქაც, საქართველოშიც, საპარლამენტო-სახელისუფლებო გადასახედიდანაც უყრუებენ, თვალს უხუჭავენ და აფუჩეჩებენ...



და კიდევ: ის თუ წარმოუდგენიათ ამერიკელებს, რომ პრეზიდენტმა ქვეყნის კონსტიტუცია (ნაჯეფერსონალ-ნაფრანკლინარ-ნალინკოლნალი), როგორც მოეხუშტურება, ისე ჭრას და კეროს, კიდეც ჭრას და კიდეც კეროს?..

ეს პირველი შემთხვევა როდია, მისტერ ბრაიზა, სერ, რომ ოკეანის გაღმიდან თვალთმაქცურად იმაღლებთ ხმას და თქვენს ნათლულ შუქურას აპრიალებთ და ასხივოსნებთ სრულიად დაუმსახურებლად და მრავალთათვის აღმაშფოთებლად; ოღონდ სხვა შემთხვევებზე სხვა დროს იყოს...

# სამარცხვინოობა ნაცურად

**8 თებერვალს უკვე გამოუტანეს ვერდიქტი ნაცთა ცნობადმა სახეებმა და ნაცადმა ლიდერებმა – სამარცხვინო ფურცელი საქართველოს უახლეს ისტორიაში (ზოგი ვარიანტით – საერთოდ ისტორიაში); ქვეყნის იმიჯის შელახვა მსოფლიოს თვალში; დაპანიკებული პარლამენტი, შეშინებული მთავრობა, გაფითრებული შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვა და სხვა.**

როგორ შევა 8 თებერვალი და „ეროვნულბიბლიოთეკური“ ფენომენი ჩვენს ისტორიაში, ეს თვითონ ისტორიამ, დრომ და ჟამმა გადაწყვიტონ. აქ მე „ჩემი შენ გითხარის“ კუთხით მინდა ნაცთა შეფასებების შეხედვა და კიდევ – მათი მეხსიერების „სიმოკლევის“ წარმოძახებაც მინდა.

2007 წლის 7 ნოემბერი, ქალბატონო და ბატონო ნაცებო, მომიტინგეთა შეუბრალებელი დარბევით – ჩვენი კალენდრის სასახელო ფურცელი იყო? 2008 წლის 8-11-12 აგვისტო, გორში, მეჯვრისხევის ქუჩაზე მხოხავი გაფითრებული კი არა, ჩასველებული, სახეწართმეული პრეზიდენტით, დაპანიკებული კი არა, წითელი ხიდისაკენ მოქუსლული და იქ რიგში ჩამწკრივებული ნაცლიდერებით, მერე, წაგებული ომის მოგებულად გამოცხადებითა და ოციათასიანი ტაშფანდურით – ისტორიის ამაყად ასაფრიალებელი ფურცლები იყო? 2011 წლის 26 მაისის ჯერ ბართლომეს ღამე და მერე, საზეიმო დღე, სამხედრო აღლუმითა და ბრწყინვალების ორდენის ჩამორიგებით შეუგნებელ, ამბიციურ პირთათვის – საკვეხარი თარიღი იყო? მაშინ სად ბრძანდებოდით, თქვენი შეფასებებით, ბოკერიებო, გაბაშვილებო, დარჩიაშვილებო, თაქთაქიშვილებო, თუთბერიძეებო, უგულავებო და ძმანო და დანო მათნო? მაშინ რატომ არ გეჩვენებოდათ მომხდარი ქვეყნის ისტორიის სამარცხვინო ფურცლებად, მაშინ რატომ არ აწკავწკავდით საპროტესტოდ და არ ააწავწკავეთ თქვენი დასავლელი თუ კიდევ უფრო დასავლელი ლობისტები?..

...შემფასებელთაგან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა და ტელეეკრანიდან არ ჩამოდის სახელგანსმენილი ნაციდეოლოგი გოკა გაბაშვილი; ჰოდა, მეც შევაგებებ რამდენიმე შეფასებას: დედა არა, მამა ნახე, გოკა ისე გამონახე... ის ურჩევნია მამასა, შვილი შეეშვას ჭამასა... ურობესპიერო ქვეყანაში გოკას აყეფებდნენო...

**ბერდია ბედოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ მონოპოლისტი




## კოლეგების ხარჯზე სასათბურე პირობებში ყოფნა დამთავრდა!!!

**ჩვენი გაზეთი წინა ნომრებში წერდა, რომ გაზეთ „24 საათი" შაშკინისა და მისი უწყების ხელდასხმით ფლობდა ექსკლუზიურ უფლებას ებეჭდა სასკოლო სახელმძღვანელოები. ამავე დროს, გაზეთი ჩარჩობასაც არ ერიდებოდა. კერძოდ, დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც მან გამომცემლობებს თურქეთში დასაბეჭდად გატანილ ლიტერატურაში გაცილებით დიდი თანხა (50-70 ათასი დოლარი) გადაახდევინა, ვიდრე მათი რეალური თვითღირებულება იყო.**

წლების განმავლობაში გაზეთი „24 საათი" პროსახელისუფლებო ბეჭდურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ის წლების განმავლობაში სარგებლობდა ექსკლუზიური კონტრაქტით და სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ყველა ტენდერი მხოლოდ ამ გაზეთში თავსდებოდა.

სასათბურე პირობებში მყოფმა გაზეთმა 2011 წელს მოიგო საჯარო რეესტრის ტენდერი. სატენდერო პირობების მიხედვით, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, გაქირავება-დაგირავების შესახებ განცხადებები უფასოდ მხოლოდ აღნიშნულ ბეჭდურ ორგანოში იბეჭდებოდა.

2011 წლის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ახალი ტენდერი საერთოდ აღარ გამოცხადებულა. საჯარო რეესტრმა პირდაპირი კონტაქტი გააფორმა „24 საათთან". ამ ახალი კონტრაქტით „24 საათს" გაუჩნდა საკუთარი გამოცემა „საჯარო რეესტრი", რომლის გამოცემის ვადა 27 აგვისტოს იწურებოდა, მაგრამ საჯარო რეესტრმა ამჯერადაც ისე გააგრძელა კონტრაქტი, რომ ტენდერის გამოცხადება მიზანშეწონილად არ ჩაუთვლია. არასამთავრობო ორგანიზაცია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს"** განცხადებით, გასული წლის დეკემბრის ბოლოს ტენდერით გათვალისწინებული პროექტი ამოიწურა, მაგრამ გაზეთი „24 საათი" კვლავ განაგრძობს რეკლამებისათვის ცალკე განკუთვნილი გაზეთის გამოცემას.

2012 წლის გაზაფხულზე, იმისათვის, რომ „24 საათს" ყველა პრივილეგია ერთდროულად დაკანონებოდა, იმდროინდელმა პარლამენტმა „შესყიდვების შესახებ კანონში" ცვლილებებიც კი შეიტანა, კერძოდ, რამდენიმე წლის წინათ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე საბიუჯეტო ორგანიზაციებს სატენდერო განცხადებები მხოლოდ „24 საათში" უნდა გამოექვეყნებინა. ამის შემდეგ პარლამენტი უფრო შორს წავიდა და ყველა სახელმწიფო ორგანიზაციას ამ კუთხით საქმიანობა 2014 წლის 1 იანვრამდე დაავალდებულა.

ოდნავ მოგვიანებით, 2012 წლის 29 აგვისტოს №1655 მთავრობის განკარგულება გამოვიდა იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის ხელმოწერით, რომლის მიხედვითაც საჯარო რეესტრს დაევალა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული საშუალებით, ანუ ტენდერის გარეშე, პირდაპირ, „24 საათთან" გაეგრძელებინა.

გაზეთების რედაქციების, არასამთავრობოების პროტესტს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უპასუხა, რომ სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საკითხი „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ" კანონით არის განსაზღვრული. შესაბამისად, 2014 წლის 1 იანვრამდე სატენდერო განცხადებები სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა განთავსდეს და დამატებით გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნდეს.

2014 წლის 1 იანვრიდან სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება სავალდებულო იქნება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ამ დღიდან მთავრდება გაზეთ „24 საათისათვის" მინიჭებული პრივილეგიები. ეს ნიშნავს იმას, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები თავად გადაწყვეტენ განცხადებები რომელ ბეჭდვით ორგანოში გამოაქვეყნონ ან საერთოდ არ გამოაქვეყნონ.

სხვათა შორის, „24 საათთან" მიმართებაში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა საჯარო რეესტრმა. ამ ორგანომ პირველი იანვრიდან გაზეთის რედაქციასთან თანამშრომლობა უკვე შეწყვიტა.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ როცა სათანადო დასკვნები კეთდება

## სხვადასხვა მიზნით „განალდულები"

**საქართველოს პრეზიდენტმა აშშ-ის პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრის შემდეგ, სხვადასხვა სამსახურებში გამოსვლისას ორჯერ განაცხადა, კორუფცია ქართველი ხალხის კულტურის შემადგენელი ნაწილი იყოო.**

...იმ „ავადსახსენებელ" დროში პოლიტიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით თურქმენეთის რესპუბლიკაში გამაგზავნეს. მუშაობა დამაწყებინეს „Каракумводстрой"-ში (მქონდა ბედნიერება გამეცნო ტრესტის მთავარი ინჟინერი, თურქმენეთში დიდი ავტორიტეტის მქონე ბატონი წერეთელი).

იმის გამო, რომ სათანადო დონეზე არ ვიცოდი რუსული ენა, მიწევდა ღამეების გათენება რუსული გაზეთებისა და ჟურნალების კითხვაში. საჭირო სიტყვებს ვიწერდი და გამოსაყენებელ წინადადებებს ვადგენდი.

ქალაქში რამდენიმე სამხედრო გავიცანი, მათ შორის ბორჯომელი სერგო კოპაძე. სერგომ თავისი მეგობრები, სამხედრო მფრინავები გამაცნო, რომლებიც იქ მსახურობდნენ. გაცნობილთა შორის იყო ლეიტენანტი იგორ ბეზრუკოვი, საკმაოდ განათლებული ახალგაზრდა ოფიცერი. იგორს ძალიან უყვარდა ჩემთან ფილოსოფიაზე და რელიგიაზე საუბარი, თუმცა, იმის გამო, რომ ამ საგნებში ერთი წიგნიც არ მქონდა წაკითხული, არაკომპეტენტური ვიყავი, რაზეც ხშირად მითქვამს იგორ ბეზრუკოვისათვის, მაგრამ მის შენიშვნაზე „Вы с высшим образованием პასუხი არ მქონდა (იგორი საქართველოში ერთხელ იყო ნამყოფი და ქართველებზე ძალიან მაღალი წარმოდგენა ჰქონდა).

ერთხელ, საცეკვაო მოედანზე ერთ გოგონასთან ერთად მდგომმა დავინახე, როგორ მოჰყავდა ჩემკენ იგორს სერგო კოპაძე, თან რაღაცას უმტკიცებდა. მათი დანახვა არ გამხარებია, რადგან იმ სიტუაციაში ვიყავი, როდესაც ვაჟისათვის მთელი სამყარო გაყოფილია ორ ნაწილად; ერთში — დიდში არიან ის და მისი გოგონა, ხოლო მეორეში ყველა დანარჩენი.

— „Товарищ начальник — ასე მომმართავდა ხოლმე ლეიტენანტი ბეზრუკოვი — вот ваш земляк утверждает და მითხრა, რომ თქვენ, ქართველებს გქონიათ ანდაზა იმის შესახებ, რომ თურმე კაცი რაღაცას გეგმავს, რაღაცის გაკეთება სურს და ამ დროს ღმერთი იცინის. ასეთი რამ ყოვლად წარმოუდგენელია, ქართველი ხალხი მართლმადიდებელი ხალხია და ასეთი ანდაზა მართლმადიდებელ ხალხს არ შეიძლება ჰქონდესო.

ყველაფერს მივხვდი, მაგრამ რა პასუხი გამეცა არ ვიცოდი, ორკესტრიც ისვენებდა, და დროის მოგების მიზნით სერგოს ქართულად შევეკითხე:

— მაინც რა ანდაზაა ასეთი?

— კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა! — ქართულადვე მიპასუხა სერგომ. ახალგაზრდა ოფიცერი მტკივნეულად განიცდიდა იმას, რომ ის თქვა რაც, მისი აზრით, არ უნდა ეთქვა.

უეცრად გონება გამეხსნა. გამახსენდა იმ დღეებში წაკითხული და ხმამაღლა მივმართე სერგოს.

— Но эта пословица не так переводимая товарищ леитенант.

— А как переводится, — უნუგეშოდ შემომხედა სერგომ. მას სკოლაც რუსულად ჰქონდა დამთავრებული და რუსულ ენას ბრწყინვალედ ფლობდა.

— Человек предполагает, а бог распалагает.

— это совсем другое дело, что я говорил? значит я прав. გამარჯვებული ტონით აყვირდა ბეზრუკოვი. სერგო ადგილიდან მოწყდა, ისეთი ძალით დამეჯახა და გადამეხვია, კინაღამ წამაქცია.

მასზე არანაკლებ ვიყავი გახარებული.

რომ გავაანალიზოთ, ჩვენი სიხარული გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენ ორმა ერთს, სხვა ერის წარმომადგენელს, შევუნარჩუნეთ ის მაღალი წარმოდგენა ჩვენს ხალხზე, რაც მას ობიექტურად ჰქონდა. ასე ვიყავით აღზრდილები და „გაწალდულები".

როდესაც ბატონი პრეზიდენტი სხვა ქვეყანაში ისეთ განცხადებებს აკეთებს, როგორიც გააკეთა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სხვა მიზნით არის „გაწალდული". სხვა მიზნით არიან „გაწალდულები"-პრეზიდენტის თანამებრძოლები და მხარდამჭერები (ბატონმა დავით დარჩიაშვილმა ამას წინათ განაცხადა: „ჩვენი ეკონომიკური განვითარება, ჩვენი უსაფრთხოება დამოკიდებულია ამერიკელების ნებაზეო").

ჩვენი აზრით, ჩვენი ხალხი მიხვდა ყველაფერს და სათანადო დასკვნაც გააკეთა.

**ნუგზარ კოზახიძე**

◉ ნაკლოვანი ტრადიცია

## ენერგეტიკის საიდუმლოებებს გასხადება არ უწერია?!

**ენერგეტიკაში ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გასაიდუმლოება კვლავ გრძელდება. წლების განმავლობაში საზოგადოება ენგურჰესის მემორანდუმის გასაჯაროებას ითხოვდა, ახლა კი სხვა მოთხოვნა გაჩნდა.**

საზოგადოებას აინტერესებს, რატომ დაედო გრიფი „საიდუმლო" ენერგოკომპანიებს და სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებას?

**არსებობს ეჭვი, რომ ტარიფის დაწევის სანაცვლოდ კომპანიებმა მიიღეს სხვადასხვა დაპირებები და შეთავაზებები სახელმწიფოსაგან. მაგალითად, რუსულ „ინტერ-რაოსთან" მიმართებაში ისმის კითხვა — დენის გაიაფების სანაცვლოდ ხომ არ გადაეცა ენგურჰესი ხანგრძლივი პერიოდით სამართავად? ან „ენერგოპრო-ჯორჯიას" ხომ არ მოეხსნა ვალდებულებები ქსელის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და ინდივიდუალური გამრიცხველიანების ვადამ რამდენიმე წლით გადაიწია?**



**სახელმწიფოსა და ენერგოკომპანიებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიებს ხომ არ გაუუქმდათ ვალდებულება, 24-საათიან ენერგომომარაგებაზე?**

ამასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმცირესობამ, მარეგულირებელ კომისიას მიმართა წერილით, თუ რა კონკრეტული პირობები იყო დადებული სახელმწიფოსა და ენერგოკომპანიებს შორის, მაგრამ მათ შემდეგი პასუხი მიიღეს: **„საქართველოს მთავრობასა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას", სს „საპარტნიორო ფონდს" და სს „ინტერ რაო ესს", სს „თელასს", შპს „მტკვარი ენერგეტიკას", სს „ხრამჰესი-1" და სს „ხრამჰესი-2"-ს შორის გაფორმებული მემორანდუმი შეიცავს დათქმას აღნიშნული დოკუმენტის კონფიდენციალურად ცნობის თაობაზე".**

როგორც ჩანს, ახალ ხელისუფლებას ძველის მსგავსად ენერგეტიკაში ბევრი რამ აქვს დასამალი.

**რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა და გალის რაიონის სოფელ საბერიოში მდებარე ენგურჰესის ელექტროსადგური მოინახულა. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რეალურად როგორ იმართება დღეს „ენგურჰესი".**

**2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს მთავრობამ რუსულ სახელმწიფო კომპანია „ინტერ რაოსთან" გააფორმა მემორანდუმი — „ენგურჰესის" ერთობლივი მართვის შესახებ, რამაც იმთავითვე დიდი დაპირისპირება გამოიწვია ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. მთავრობამ მემორანდუმის ტექსტი სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების საბაბით გაასაიდუმლოვა. ეს ნაბიჯი ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის მხრიდან მწვავე კრიტიკის საფუძველი გახდა.**

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და გაზეთი „რეზონანსი" წლების მანძილზე დავობდნენ მემორანდუმის გასაჯაროებისთვის, თუმცა, სასამართლომ არც ერთი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ნიშანდობლივია, რომ მემორანდუმის ტექსტი საიდუმლოდ დარჩა, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც.**

**„ამერიკის ხმის" ინფორმაციით, ენერგეტიკის ახალმა მინისტრმა კახი კალაძემ გაარცელა განცხადება, რომ „ინტერ რაოსთან" 2008 წელს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში არ შესულა. შესაბამისად, გაუქმებული მემორანდუმის დეტალების შესახებ საუბარი დღეს ინტერესს მოკლებულია და ეს ფაქტი საზოგადოებაში მხოლოდ დამატებით უსაფუძვლო კითხვებს გააჩენს".**

**საჯარო რეესტრის მიხედვით, დღეს „ენგურჰესს" 100 პროცენტით სახელმწიფო შპს „ენგურჰესი" მართავს. თავის მხრივ, შპს „ენგურჰესის" საწესდებო კაპიტალში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100-პროცენტიანი წილი, პრეზიდენტ სააკაშვილის 2010 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით, მისი არსებობის ვადით, მართვის უფლებით ენერგეტიკის სამინისტროსთვის არის გადაცემული.**

**ეკა ბაქრაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ დედაქალაქი

# უგულავას პრივილეგირებული მეჯიხურეები



**თბილისის მერია თავის ფავორიტ კომპანიებს ქალაქში ჯიხურებს ისე ადგმევინებდა, რომ ისინი ელექტრონულ აუქციონში არც კი მონაწილეობდნენ. ე.წ. პრივილეგირებული კომპანიების ნუსხა კი ასეთია: შპს „ექსპრესი“, შპს „აუთდორ.ჯი“, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“, შპს “მაგი სტილი მედია“ და შპს „ნუგეში“.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, პროექტის – „ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა“ – ფარგლებში კვლევის პრეზენტაცია გამართა, რომელიც ეხება თბილისის მერიის პროექტს „სავაჭრო ჯიხურები ქალაქის მასშტაბით“.

კვლევის თანახმად, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური არ გასცემდა გარკვეულ პირებზე მშენებლობის ნებართვას, მიუხედავად იმისა, რომ ნებართვის გაცემა სწორედ მისი კომპეტენცია იყო.

აღნიშნული უწყება დაინტერესებულ პირებს გარე ვაჭრობის შესახებ თანხმობის მიღების მიზნით თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოში ამისამართებდა, თუმცა არ ასაბუთებდა ამის მიზეზს.

**კვლევის შედეგების თანახმად, თბილისის არქიტექტურის სამსახურს არ გაუგრძელებია ე.წ. პრივილეგირებული კომპანიების: შპს „ექსპრესის“, შპს „აუთდორ.ჯი“, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“, შპს „მაგი სტილი მედიის“ და შპს „ნუგეშისათვის“ საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობის განხორციელების თაობაზე გაცემული თანხმობების ვადა. გაცემული თანხმობების ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ კი, ამ კომპანიების სავაჭრო ჯიხურები კანონის მოთხოვნათა დარღვევით არის განთავსებული.**

**„თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, რომელიც მყისიერ რეაგირებას ახდენს ხოლმე კონკრეტული მოქალაქეების მხრიდან მშენებლობის ნებართვის დარღვევაზე, ამ შემთხვევაში ყველაფერს იგნორირებას უკეთებს. ისინი არაფერს აკეთებდნენ, რათა მშენებლობის წესების დარღვევის გამო რეაგირება მოეხდინათ და სანქციები გაეტარებინათ ზემოთ აღნიშნული კომპანიების მიმართ“,** – განაცხადა საია-ს თამჯდომარემ კახა კოჟორიძემ.

როგორც პროექტის ავტორმა სულხან სალაძემ განაცხადა, აღნიშნულ კომპანიებს არ გაუმარჯვიათ და მაღალი ალბათობით მონაწილეობაც არ მიუღიათ თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ ელექტრონულ აუქციონში. ეს ფაქტი კი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ კომპანიების სავაჭრო ჯიხურები უკანონოდ იყო განთავსებული თბილისში, მით უმეტეს, ქალაქის ცენტრში, სადაც სხვა პირებს აკრძალული აქვთ სავაჭრო ჯიხურების განთავსება.

**„თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ არ ჩატარებულა კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოება და მას არ მიუღია შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა აღნიშნული სავაჭრო ჯიხურების დემონტაჟი. ამასთან, ე.წ. პრივილეგირებული კომპანიებიდან ორში, შპს „ექსპრესსა“ და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიაში“, სახელმწიფო საკუთრებაში დღემდე რჩება კომპანიების წილის 70-70 პროცენტი“,** – განაცხადა სულხან სალაძემ.

საია მოუწოდებს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, აუცილებლად დაინტერესდნენ თუ რის საფუძველზე არის განთავსებული აღნიშნული კომპანიების სავაჭრო ჯიხურები დღემდე ქალაქის ქუჩებში.

**საქმე ისაა, რომ ეს კომპანიები მანამდეც პრივილეგიებით სარგებლობდნენ. კერძოდ, ახალი პროექტის გამოცხადებამდე, 2009 წლის 24 მარტიდან 2011 წლის 14 ივლისის ჩათვლით, გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის განთავსების ნებართვა 739-მა მიიღო, საიდანაც 443 ე.წ. პრივილეგირებულ კომპანიებზე მოდიოდა. ასეთი სულ 11 კომპანიაა, თუმცა, საია 4 მათგანს გამოყოფს, ესენია: „უაიდ დისტრიბუშენი, „ნუგეში“, “„აუთდორ.ჯი“, „საქართველოს ლატარიის კომპანია“ და „მაგი მედია“.**

იხ. 9 გვ.

◉ სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა



# დაბრუნდება თუ არა გლეხი სოფელში?

**მომავალი კვირიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის განვითარების საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, მიწის მფლობელებისათვის ე.წ. სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებას იწყებს.** გლეხებსა და ფერმერებს ორი ტიპის ბარათი დაურიგდებათ – ერთის საფასურით მათ მიწის დამუშავება შეეძლებათ, მეორით კი თავიანთთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს შეიძენენ.

**„ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობაში 700 მილიონამდე ლარის დახარჯვას ერთი მთავარი მიზანი აქვს – დაკარგული სოფლის უკან დაბრუნება“,** – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ პრესკონფერენციაზე, რომელზეც ბოლო ასი დღის მუშაობა შეაფასა.

სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებას ახალი მთავრობა ქვემო ქართლიდან დაიწყებს. მიწათმესაკუთრეები, ვისაც ეს ბარათი ერგება, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „კარდაკარის“ პრინციპით აღწერა. უკვე ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი 640 000-ზე მეტ მიწის მესაკუთრეს დაეხმარება, მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის ღირებულება კი 180 მილიონ ლარზე მეტია. სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ დეტალურად განმარტა, თუ რა სარგებელს ნახავენ გლეხები ამ ბარათით, რომელიც ორი ტიპისაა:

**„პირველი – ეს არის ბარათი, რომელსაც ტრაქტორი ახატია, და მისი დარიგება მომავალ კვირას დაიწყება. ამ ბარათის მიმღები ყველა ადამიანი შეძლებს თავისთვის საჭირო მომსახურების მიღებას, – ვგულისხმობ მიწის მოხვნას და გაფხვიერებას. მეორე ბარათი ნედლეულის და ინვენტარის შესაძენად არის გამიზნული და მის დარიგებას მარტიდან დავიწყებთ“.**

რაც შეეხება თანხას აღნიშნულ ბარათებზე – აქ მიწის მფლობელები კატეგორიებად იყოფიან. კერძოდ, 0.25 ჰექტარზე მცირე ზომის მიწის მესაკუთრეები 100 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს მიიღებენ, რომლითაც შეეძლებათ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენა;

**0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწათმესაკუთრეები მიიღებენ 510 ლარის ღირებულების ბარათებს, ხოლო 0.25 ჰა-დან 5 ჰამდე სახნავი ფართობის ან მხოლოდ მრავალწლიანი ნარგაობის მქონე ფერმერები – 640 ლარის ღირებულების ბარათებს.**

ევროკავშირის დახმარებით შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი, რომლის განსახორციელებლად საქართველო მიიღებს გრანტს 40 მილიონი ევროს ოდენობით, საიდანაც 15 მილიონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას მოხმარდება...

**სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ნაწილია ე.წ. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი.**

**მცირე ფერმერებს გადაეცემათ უპროცენტო სასაქონლო კრედიტი – 5000 ლარამდე, საშუალო და დიდ ფერმერებს 5000-დან 100 000 ლარამდე – 7-8% იანი კრედიტი, ხოლო სასოფლო-საწარმოების დაფინანსებისათვის კრედიტზე, არაუმეტეს 1 000 000 ლარისა, საშუალო წლიური პროცენტი იქნება 3%.**

**გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სფეროში მთავრობის ასდღიანი მუშაობის ანგარიშში ვკითხულობთ: „2013 წელს ასევე დაფინანსდება 60-მდე საწარმო, მათ შორის, სამაცივრე მეურნეობები, სასაწყობე და დამფასოებელი, გადამამუშავებელი საწარმოები. ევროკავშირის დახმარებით შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი, რომლის განსახორციელებლად საქართველო მიიღებს გრანტს 40 მილიონი ევროს ოდენობით, საიდანაც 15 მილიონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას მოხმარდება, დანარჩენი საბიუჯეტო გრანტი იქნება. უახლოეს მომავალში ცვლილებები შედის ვეტერინარიის შესახებ კანონში, მცენარეთა დაცვის კანონში, ასევე მუშაობენ სურსათის უვნებლობის კოდექსზე.**

**დაიწყო სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის აკრედიტაციის პროცესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.**

**იწყება მილიონზე მეტი მსხვილფეხა საქონლის ვაქცინაცია, კერძო სექტორში არსებული პირუტყვის აღწერა და მისი ვაქცინაცია, ასევე, მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ მიმართული პროგრამა“.**

როგორ აფასებენ ფერმერები და გლეხები ახალ ინიციატივებს და რაში ხედავენ ისინი სოფლის მეურნეობის განვითარების გზებს? რადიო „თავისუფლება“ გაესაუბრა ირინე ფხოველიშვილს, წევრს საინიციატივო ჯგუფისა „გადავარჩინოთ მამული“. ის ამბობს, რომ თუ ხელისუფლებას რეალურად ფერმერების დახმარება სურს, მაშინ, პირველ რიგში, მიწის გაზრდილი გადასახადი უნდა შემცირდეს:

**„2010 წლის მთავრობის დადგენილებით, უკანონოდ გაიზარდა მიწის გადასახადი, – სახნავ-სათეს მიწას ვგულისხმობ, – ხოლო საძოვრის გადასახადი 500%-ითაა გაზრდილი. ამან მართლა საბოლოოდ წელში გატეხა ფერმერიც, გლეხიც და ყველა ის ადამიანი, ვინც სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული. სწორედ ამან გამოიწვია ქართული მიწების ინტენსიურად უცხოელებზე გაყიდვა. პირველი და უმთავრესი ხელშეწყობა გლეხისთვის სწორედ ამ ტვირთად წამოკიდებული ბეგარის მოხსნა იქნებოდა“.**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე, რომელიც, სხვათა შორის, პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებამდე საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი და სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი იყო, ამბობს, რომ ის, რაც დღეს სოფლის მეურნეობის მინისტრისგან ესმის, არის არა პოლიტიკა, არამედ ტექნიკური საკითხები, რაც ვერანაირ დადებით ზეგავლენას კატასტროფის პირას მდგომ საქართველოს სოფლის მეურნეობაზე ვერ მოახდენს. გიორხელიძე სკეპტიკურად უყურებს სასოფლო-სამეურნეო ბარათებსაც და მზად არის ამ თემებზე ღია დებატებში მიიღოს მონაწილეობა: **„ეს ბარათი, 300-ლარიანი იქნება თუ 500-ლარიანი, მართლა არაფერს წყვეტს. მთავარია, როგორი იქნება სოფლის მეურნეობის აღორძინების კონცეფცია. ამ კონცეფციას მე ჯერჯერობით ვერ ვხედავ. შედეგზე საუბარი კი მის გარეშე, უბრალოდ, ზედმეტია. უნდა გაკეთდეს სერვისცენტრები, ინფრასტრუქტურა, სასურსათო ბაზრების რეგულირების საკითხების გადაწყვეტა, კაპიტალის ბაზრის შექმნა, რადგან არაფერი სოფლისთვის არ არის და ეს პრინციპული საკითხია, ასევე მიწის ბაზრის რეგულირება... მოკლედ, ბევრი ისეთი საკითხია, რომელზეც ჯერჯერობით არ გვესმის საუბარი და რაც გვესმის, იმ რიტორიკით სოფელი ადგილიდან ვერ დაიძვრება“.**

სოფლის მეურნეობის მინისტრი რუსულ ბაზარზე პროდუქციის დაბრუნების საკითხსაც შეეხო. მისი ინფორმაციით, ქართული ღვინო და მინერალური წყალი რუსეთის ბაზარზე გაზაფხულზე დაბრუნდება, თუმცა, მანამდე რუსეთიდან ინსპექტირების სამი ჯგუფი ჩამოვა, რომლებიც ადგილზე შეამოწმებენ ყველა მსურველი კომპანიის პროდუქციას. შემოწმების გავლის შემდეგ და ხარისხით დაკმაყოფილების შემთხვევაში, მათთვის რუსული ბაზრის კარი ღია იქნება.

**ეკა ქევანიშვილი,**
რადიო „თავისუფლება“



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ მსოფლიო მემკვიდრეობა

# წმინდა სოფიას ტაძრის ბედი

**განგაში პირველებმა საბერძნეთის მასმედიის საშუალებებმა ატეხეს: თურქეთის ხელისუფლება მართლმადიდებლური მონასტრის მოქმედ მეჩეთად გადაქცევას აპირებს, საფრთხე წმინდა სოფიას საყდარსაც ემუქრებაო.**

გავრცელებული ცნობით, სტამბოლის სტუდიუსის მონასტერს გამოიყვანენ კულტურის სამინისტროს მეურვეობიდან და მოქმედ მეჩეთად გადააქცევენ. დღესდღეობით 462 წელს კონსტანტინოპოლში დაარსებული კონსულ სტუდიუსის სავანე აია-სოფიას მუზეუმის ფილიალია.

მონასტერი ყოველთვის განთქმული იყო მართლმადიდებლობის ერთგულებით, მკრეხელობასთან შეუპოვარი ბრძოლით, იქაური სამი ბერი შემდგომ პატრიარქიც კი გახდა.

1204 წელს მონასტერი ჯვაროსნებმა დაანგრიეს, 1453 წელს კი, კონსტანტინოპოლის დაცემისას, ოსმალებმა მისი იოანე წინასწარმეტყველის საკათედრო ტაძარი მაშინვე მეჩეთად აქციეს. 1782 წელს მონასტერი დაიწვა, 1894 წელს აღდგენილი მიწისძვრას გადაურჩა, 1920 წელს კი ცეცხლის ალმა კიდევ ერთხელ გაანადგურა. სავანე დღემდე ნანგრევებშია, მაგრამ, როგორც ჩანს, თურქები მის კვლავაც მეჩეთად აღდგენას აპირებენ.

მეტიც: ახლა ბიზანტიური ეპოქის უდიდეს ძეგლს, იმპერატორ კონსტანტინე I ქმნილებას, წმინდა სოფიას ტაძარს მიადგნენ. პარლამენტი ამჟამად თურქეთის მოქალაქის, ქალაქ კაჰრამანმარაშის მკვიდრის, ვინმე თალიფ მფოზქურთის შეკითხვას შეისწავლის, რომელსაც აია-სოფიას საყდარში მუსლიმანური ღვთისმსახურების ჩატარება სურს. თუ ვინაა ეს კაცი, უცნობია, მაგრამ საქმე მან მთელ პარლამენტს გაუჩინა.



324-337 წლებში აგებული წმინდა სოფიას ტაძარი, ვიდრე ვატიკანში წმინდა პეტრეს საყდარს ააგებდნენ, ქრისტიანული სამყაროს უდიდესი საყდარი ათას წელზე მეტი ხნის მანძილზე იყო. ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ იგი აია-სოფიას მეჩეთად გადააქციეს და ოთხი მინარეთი მიუშენეს. 1935 წლიდან კი ეს მუზეუმი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის შემადგენლობაში შედის.

**ნინო ალექსანდრია**

◉ თანამედროვე ისტორია

# „წლის ადამიანი“ – „მაგარი ბიჭი“

**ზუსტად 70 წლის წინათ, 1943 წლის 4 იანვარს მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ყოველკვირეულმა გამოცემამ „თაიმსმა“ გარეკანზე კოლაჟი გამოაქვეყნა: ეს იყო იოსებ სტალინის სახე დათოვლილი ტრამალის თავზე, რომელზეც შესანიღბ თეთრ ხალათებში ჩაცმული მეავტომატეები გარბიან. კოლაჟს წარწერა ამშვენებდა: „წლის ადამიანი. მან ჰიტლერს გამარჯვება უკვე მეორად წაართვა“. რედაქციას მხედველობაში ის გარემოება ჰქონდა, რომ 1941 წელს წითელმა არმიამ ჯერ მოსკოვისთვის ბრძოლა მოიგო, 1942 წლის დამლევისთვის კი სავსებით ცხადი გახდა, თუ რით სრულდებოდა სტალინგრადის ბრძოლა — მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა ყველაზე გამანადგურებელი მარცხის გარდუვალობა ეჭვს აღარ იწვევდა.**




ჟურნალ „თაიმში“ „წლის ადამიანის“ არჩევანის კრიტერიუმები გასული საუკუნის 20-იან წლებში მისმა დამაარსებელმა ჰენრი ლიუსმა ჩამოაყალიბა: „პირი, რომელმაც ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა წარმავალი წლის მოვლენებზე“.

იოსებ სტალინისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიას „ბრძოლა სისხლის ბოლო წვეთამდე“ ერქვა: **„...1942 წელი — სისხლისა და მედგრობის წელია. და სწორედ ამ წლის ადამიანი გახდა კაცი, რომლის სახელი „ფოლადს“ ნიშნავს, ხოლო იმ რამდენიმე ინგლისურ სიტყვას შორის, რომელიც მან იცის, ერთი ამერიკული გამოთქმაც „Tough guy“ („მაგარი ბიჭი“) არის. მარტო „მაგარმა ბიჭმა“ იოსებ სტალინმა იცის, თუ როგორ ახლოს იყო 1942 წელს რუსეთი დამარცხებასთან, და მხოლოდ მან იცის ზუსტად, თუ როგორ შეძლო მან ქვეყნის უფსკრულის პირას გატარება... თუკი გერმანული ლეგიონები სტალინგრადის დაცვის გარღვევას შეძლებდნენ, ჰიტლერი ახლა არა მარტო „წლის კაცი“, არამედ ევროპის უპირობო ბატონ-პატრონი იქნებოდა და სხვა კონტინენტების დაპყრობისთვის გამალებულ მზადებაში იქნებოდა. მაგრამ იოსებ სტალინმა კიდევ ერთხელ შეძლო მისი შეჩერება“.**

მაშინ ჟურნალმა „წლის ადამიანის“ საპატიო წოდების სხვა ნომინანტებიც დაასახელა. თანაც გასაოცარი აპოლიტიკურობით — „კარგ“ და „ცუდ“ ხალხად ყოველგვარი დაყოფის გარეშე. მათ შორის იყვნენ გერმანელი გენერალფელდმარშალი **ერვინ რომელი,** იაპონელი გენერალი **ტომოიუკი იამასიტა,** რომელმაც სინგაპური დაიკავა და ტყვედ 130 ათასი ინგლისელი, ავსტრალიელი და ინდოელი ჯარისკაცი აიყვანა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **უინსტონ ჩერჩილი,** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ფრანკლინ რუზველტი,** ჩინელი გენერალისიმუსი **ჩან კაიში,** ამერიკელი გენერლები **დუაიტ ეიზენჰაური** და **ჯოზეფ მაკკარტი...**

თუმცა კი, **„ამ პირთა უდიდესი როლის და ისტორიულ მოვლენებზე ზეგავლენის მიუხედავად, ისინი აშკარად უფერულდება იმასთან შედარებით, თუ რისი გაკეთება შეძლო იოსებ სტალინმა 1942 წელს“,** — ესაა „თაიმსის“ რეზიუმე. — **არმიამ დატოვა სევასტოპოლი, დაიკარგა დონბასი, გერმანელები კავკასიას მიადგნენ. მაგრამ სტალინგრადმა გაუძლო. გაძლო რუსმა ხალხმა. წლის დამლევისთვის წითელმა არმიამ ოთხი კონტრშეტევა წამოიწყო და მოწინააღმდეგეს დიდი ზარალიც მიაყენა. ომის ყველაზე საჭირო დროს რუსეთმა თავისი ძალა წარმოაჩინა. და ის მხედართმთავარი, რომელმაც ეს ბრძოლა მოიგო, ის კაცია, ვინც ქვეყანას სათავეში უდგას“,** — განაგრძობს სტატიის ავტორი, რომელიც დასკვნით ნაწილში სტალინის ავტორიტეტითა და ხალხის თავდადებით გაოცებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავს: **„ — 1942 წელს სტალინმა ხალხს თვითგანწირვისკენ მოუწოდა. ქალები და ბავშვები შეშას ამზადებდნენ. იყო შემთხვევა, როცა ერთმა ბალერინამ თავისი გამოსვლა გადადო — ტყეში ხის ჭრის შემდეგ მას ხელფეხის განძრევა არ შეეძლო. იმ ახალ წელს რუსმა ბავშვებმა საჩუქრები ვერ მიიღეს. უფროსებს საახალწლო სუფრებზე არც შებოლილი ორაგული, არც დამარილებული ქაშაყი, არც ბატი, არც არაყი და შამპანური ჰქონდათ, მაგრამ ხალხს უხაროდა! ბოლო ორი წლის მანძილზე სამშობლო კიდევ ერთხელ გადარჩა — საბოლოო გამარჯვებაც ახლოს იყო“.**

**თამარ გოგიაშვილი**

◉ ინფორმაცია თემაში

„თაიმსის' „წლის ადამიანები' საბჭოთა კავშირიდან სხვადასხვა დროს იყვნენ იოსებ სტალინი (1939,1942), ნიკიტა ხრუშჩოვი (1957), იური ანდროპოვი (1983), მიხეილ გორბაჩოვი (1987, 1989).

აღვნიშნავთ იმასაც, რომ 2007 წელს ეს წოდება ვლადიმერ პუტინს მიენიჭა.

◉ ერიჯა!

# ალიონის სხივით – კრემლამდე

## („ბუღა თურ შოიგუ“)

**ვინ თქვა, რომ თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში კერპთაყვანისმცემლობა წარსულს ჩაბარდა? ნურას უკაცრავად, იგი დღესაც ნოყიერ ნიადაგს პოულობს მავანთა გულებში და „დიდებულ ნაყოფებსაც“ ისხამს. ამის საუცხოო მაგალითია რუსეთის საგანგებო სიტუაციების ყოფილი მინისტრი, შემდგომ მოსკოვის ოლქის გუბერნატორი, ამჟამად კი თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ, რომელიც... თანამედროვე ტივური ეპოსის გმირი გახდა!**

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეპოსის ავტორი არა ნაღდი ტრამალის აკინია (ესე იგი ხალხური მთქმელი), არამედ ტივის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი აიბეკ სოსკალი. მისი განცხადებით, თანამემამულეზე ეპოსის შექმნაზე მას ჩუკოტკის მცხოვრებთა სურვილმა უბიძგა, რომლებმაც ეპოსის შექმნა თავიანთ ყოფილ გუბერნატორზე... რომან ამბრამოვიჩზე გადაწყვიტეს (!!).



— გოლიათური ეპოსი „ბუღა თურ შოიგუზე“ („გოლიათ შოიგუზე“) — ეს ჩემი... ლაბორატორიული სამუშაოა. ჩემთვის მთავარი იყო ტივური ეპოსისთვის დამახასიათებელი მემკვიდრეობითობის, ეპიკურობის, ჭეშმარიტებისა და ისტორიულობის ტრადიციების შენარჩუნება, — ამბობს აბიეკ სოსკალი.

ეპოსში პატივცემული შოიგუ აღწერილია როგორც გოლიათი, რომელსაც „გარეული ხახვისნაირი“ ცხვირი აქვს, ხოლო მახვილის მაგივრად ხელთ ბარი უკავია. წინაპრებმა მას თიკუნი „სერგეკი“ შეარქვეს, რაც ტივინურად „მხნეს“ ნიშნავს.

**„როცა ის გაიზარდა და მოყოჩაღდა, იგი მიიიტი თევზივით წყალს დაღმა დაუყვა, მდინარე ენე-საის ნაპირზე დიდ წითელ კარავში ბრძენ ბერიკაცთაგან ცოდნა მიიღო. სწავლის მრავალი წლის შემდეგ იგი ჭკვიანი და ბუღასავით (ხარივით) ძლევამოსილი გახდა“,** — ასე ასხამს ხოტბას თავის გმირს ავტორი.

შემდგომ ეპოსში მოთხრობილია, რომ ერთხელ გმირს გული გაუნათდა, მან მაგიური რიტუალი ჩაატარა, **„ცხრა ნაბიჯი გადადგა, ზეცაში არწივად აიჭრა, ალიონის სხივებით ხერიმს (ე.ი. კრემლს) მიაღწია და გოლიათკაცის იერით დაბლა თუჯის აბჯრით მოსილი დაეშვა“.**

ეპოსის გმირები ასევე გახდნენ **„მთვარესთან მოლაპარაკე მთავარი გმირი“,** გოლიათები **„ჰუტ დიზილდიგ მოგე“** და **„ადიღის გვარის დიდიმი“,** რომლებშიც ავტორმა ალეგორიულად გამოიყვანა **ბორის ელცინი, ვლადიმერ პუტინი** და **დიმიტრი მედვედევი.**

გავრცელებული ინფორმაციით, სერგეი კუჟუგეტის ძე შოიგუ ეპოსის ტექსტს კი გაეცნო, მაგრამ კომენტარი არ გაუკეთებია. ისე კი ამბობენ, რომ ეპოსი იმიტომ შეიქმნა, რომ ტივაში იგი უყვართ, ისიც არ ივიწყებს მშობლიურ მხარეს და ყველა შვებულებას იქ ატარებს — ნადირობს, თევზაობს...

**ლალი ხუნდაძე**

◉ სკანდალის ექო

# როგორ იყო „ის ამბავი“

**ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტ ბილ კლინტონთან სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ წიგნში მონიკა ლევინსკი გამომცემლებს 12 მილიონ დოლარს სთხოვს.**

**1990-იან წლების მიწურულს ამერიკის ისტორიაში ყველაზე გახმაურებული სექსსკანდალის ექომ ჩვენ დრომდეც მოაღწია. ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის ცნობილმა საყვარელმა, ერთ დროს თეთრი სახლის სტაჟიორმა მონიკა ლევინსკიმ, რომელთან სასიყვარულო კავშირი მას ლამის სავარძლის ფასად დაუჯდა, თავის სკანდალურ წარსულზე ფულის გაკეთება გადაწყვიტა და მემუარები დაწერა. ამერიკული პრესის ცნობით, იგი აქტიურად ხვდება ქვეყნის უდიდესი გამომცემლობების წარმომადგენლებს, თუმცა, რა იქნება წიგნის შინაარსი, რომელშიც „ყველაფერი დაწვრილებით იქნება მოთხრობილი“, ჯერჯერობით არავინ იცის. თავად მონიკა კომენტარს არ აკეთებს, მისი მეგობრები კი ენაწყლიანობენ: „მონიკას შეუძლია აღწეროს, თუ როგორ დაჟინებით ეარშიყებოდა მას ბილი, — მოჰყავს გამოცემა „პოლივუდ ლაფს“ მისი მეგობრის სიტყვები, — როგორი ვნებით უნდოდა მას სამკაციანი სექსი და სხვადასხვა სექსუალური სათამაშო“. ლევინსკის მეორე ნაცნობი კი აცხადებს, რომ „მონიკას ყველაფრის გახსენება შეუძლია, თუ რას ამბობდა ბილი თავის მეუღლე ჰილარიზე, იმის ჩათვლით, რომ განზე სასიყვარულო თავგადასავლებს მარტო ის არ ეძებდა“.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შაბათ-კვირის ჩანაწერები

## ეს რა ჭირი გჭირს, ჩვენო ქვეყანავ!

თავიდან, თითქოს, ყველაფერი წესითა და რიგით მიდიოდა. ეროვნული ბიბლიოთეკის წინ, სადაც მიხეილ სააკაშვილს ელოდნენ, არც ისე ბევრი ხალხი ირეოდა. ის კი არა, მგონი, პოლიციელები უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე აქციის ორგანიზატორი ყოფილი პოლიტპატიმრები, ტელეჟურნალისტები თუ მოსეირენი...

ამ ხალხში შემხვდა ზოგი ნაცნობ-მეგობარი, ჟურნალისტი, მაგალითად, ზაზა დავითაია, რომელიც გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მუშაობს. რომ არ „მოისვენა“, ჩასვეს, იქ გატარებულ ოთხწელიწადნახევარს, მიშას როგორ შევარჩენო, ბობოქრობს ზაზა. აგერ გიორგი აბდა-



ლაძეც — „კომპრომატული“ ფოტოების ავტორი, ბიბლიოთეკის შესასვლელ კარებთან მთელ სიგრძე-სიგანეზეა გამოფენილი მისი და ირაკლი გედენიძის მიერ გადაღებული შემაძრწუნებელი ფოტო-კადრები — როგორ უსწორდებოდა, სხვადასხვა დროს, მიშას ხელისუფლება საკუთარ ხალხს, რა თქმა უნდა, ცოცხების გამოფენაც არ დავიწყნიათ აქციის ორგანიზატორებს... აგერ, მერაბ ინწკირველი, ოზურგეთელი კაცი, თბილისში ჩაი ჩამოაქვს ხოლმე გასაყიდად (ჩვენს რედაქციაშიც ხშირად შემოსულა), რომ ერთი-ორი ლარი იშოვოს და ოჯახს მოახმაროს... სანამ ოზურგეთში გავბრუნდები, ვნახო ერთი, მიშას შეუშვებენ თუ არა ბიბლიოთეკაშიო, მეუბნება მერაბი...

მიშას შეშვება, არშეშვება, მე აღარ მინახავს. შვილიშვილს გაკვეთილები უმთავრდებოდა და იქვე, პირველ სკოლაში ავედი ანანოს სახლში წასაყვანად. ...დანარჩენი ტელევიზიით ვნახე, ძვირფასო მკითხველო! ვნახე, კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ ვნახე, „ქართული დაკა-დაკა“, მე კი არა სამწუხაროდ, მთელმა მსოფლიომ ნახა. უცხოელმა დიპლომატებმა, ელჩებმა... მერამდენედ მოგვეჭრა თავი, ამ ერთი ულირსებო კაცის გამო, რომელსაც არა და არ სურს ძალაუფლების დათმობა. ...ეს რა ჭირი გჭირს ჩვენო ქვეყანავ! ქართველი ქართველს უშვერად აგინებს, ქართველი ქართველზე გამეტებით იწევს, ქართველი ქართველს დაუნდობლად სცემს და ასისხლიანებს!.. არის ახლა ერთმანეთზე გადაბრალება, თავისი ჭკუით, „ნაციონალები“ არიან ცამდე მართალი, აქეთ „ოცნება“ იმართლებს თავს და, საბოლოოდ, ეს უბედური ქვეყანა რჩება წაგებული. თუ ბატონ გიორგი მარგველაშვილის აზრს გავიმეორებ, პარასკევის ფაქტმა ხელისუფლების ავტორიტერი შელახა... სწორი ბრძანებაა, აბა, მიშას სულ ფეხებზე ჰკიდია სინდის-ნამუსი და ღირსება — რასაც იტყვის, ბოლომდე უნდა გაიტანოს! ჰოდა, გადავაყოლოთ ქვეყანა მის ხუშტურებს?! გვეყო ხალხო, დავწყნარდეთ, უამრავი საქმე გვაქვს საკეთებელი!.. ამას წინათ, ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა საუბარში: „გერმანელებს, მრავალთაგან, ერთი საოცარი თვისებაც აქვთ: არავინ გაჰკივის გულზე მუშტის ბრაგუნით — „გერმანია, გერმანია“!.. სანტექნიკოსიდან დაწყებული, ყველამ თავის საქმე იცის და იმ საქმეს უმაღლეს დონეზე აკეთებს“.

ჩვენ რას ვშვებით?! აი, ისევ „ცისფერი ეკრანი“: თბილისის „პარალელურად“ აქცია და გაწევ-გამოწევაა ვანშიც, სადაც „ოცნების“ თავმჯდომარეობა ვერ გაუყვიათ მავანთ და მავანთ.

...ხოლო მტერი ქართველთა (ნაირ-ნაირი) უზომოდ კმაყოფილია!

## ინდიკო

ძლივს ვიცანით ერთმანეთი.

— ინდიკო, ჩემო ინდიკო, როგორა ხარ კაცო!

შემომხედა, დამაკვირდა და მერე ფართოდ გაიღიმა ინდიკო კვეკვესკირმა:

— ვაჰ, შენ რა გითხრა!..

ინდიკო გაფაციცებულია, ავტობუსს ელოდება, მაგრამ მაინც ვასწრებთ მიკითხვ-მოკითხვას.

* * *

ეს ოჩამჩირელი კაცი, უკვე ოცი წელი გადის, რაც დევნილია. ერთად ვსწავლობდით დედაუნივერსიტეტში, ერთად ვცხოვრობდით სტუდქალაქში, სადაც ადგილობრივ რადიოში დიდი ამბები გვქონდა ვასიკო მამულაშვილთან ერთად. აბა, რადიოჩანახატებიო, რეპორტაჟებიო, სატირა და იუმორიო... ინდიკო ნიჭიერი ყმაწვილკაცი იყო, საკუთარი მოთხრობებიც გაგვაცნო რამდენჯერმე.

როცა მიმოვიფანტეთ, კარგა ხნის შემდეგ შემხვდა რუსთაველზე. სოხუმში ვარ, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში ვმუშაობო...

და აი, აგერ, ცხოვრებით გატანჯული, ათას დავიდარაბაგამოვლილი სტუდენტობის მეგობარი, რომელიც, არა მარტო აფხაზეთში გახლდათ საკმაოდ სახელმოხვეჭილი და დაფასებული პროზაიკოსი. ალმანახ „რიწაში“ ერთიორჯერ მეც მქონდა წაკითხული მისი მოთხრობები, რამდენიმე წიგნის ავტორიცაა...

მეუღლე იმ უბედურ წლებში დაღუპვოდა, მერე გავხდი დევნილი, ჩამოვაღწიე თბილისში და სულგანათლებული გურამ ფანჯიკიძის გულითადობით ბინა მომცეს, მაგრამ ველარ შევინარჩუნეთ, ახლა ვაჟიშვილი ცალკე ცხოვრობს, მე ნათესავთან ვარ სამადლოდ და ისღა მაცოცხლებს, შვილიშვილები რომ მირეკავენ ხოლმეო...

— ხომ წერ ისევ? — ვეკითხები.

— ჰო, ვირთობ თავს... მაგრამ, რომ ალარავის აინტერესებს!..

— არც ეგრეა საქმე... იმედი არ დაკარგო... სოხუმშიც ჩავალთ...

— მაშ... ახლა რკინიგზას აღადგენენ და... — მპასუხობს ირონიული ღიმილით ინდიკო, მემშვიდობება და ავტობუსში ადის, რომელიც უკვე ჩამომდგარიყო.

## „ერთობა ჩვენთვის ტახტია“...



როგორც ყოველთვის, ახლაც „ერთსულოვნება“ მაწყნარებს, როგორც ყოველთვის საპატრიარქოს ტელეარხის გადაცემები აამებს გულს, ვინ იყო მტყუან-მართალი პარასკევის აქციის დროს, ამ გარჩევებს სხვადასხვა ტელეარხზე და გალიზიანებული პოლიტიკოსების სახეებს, „ერთსულოვნება“ აფერმკრთალებს: სხედან ჩვენი გენიალური დები იშხნელები და აკვნესებენ გიტარას, აღუღუნებენ ზედ აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ლადო ასათიანის უკვდავ სტრიქონებს და უმალ გაფიქრებინებენ კაცს, რომ ამ ერთ ციდა ქვეყანას გადაშენება არ უწერია. ღუღუნებენ დები — „არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ“, „და ის, ვინც გაქებდა, და ის ვინც გალხენდა“, „იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ, ამ სიყვარულზე ვესაუბრები“... რაღა თქმა უნდა, „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის საფრთხობელაო!“ (შეისმინეთ, პოლიტიკოსებო!) რესპუბლიკის სახალხო არტისტი მერაბ თაბუკაშვილი გვესაუბრება იშხნელების სიმღერის ფენომენზე... ბოლოს მარტო გამოდის დებისგან „მიტოვებული“ „ტამარა ალექსანდროვნა“ (ასე მიმართე, გაუხარდებაო, მითხრა ერთხელ ქალბატონ თამართან შეხვედრისას მერაბ თაბუკაშვილმა)...

და, თითქოს, სასიამოვნოდ მთავრდება ეს შფოთიან-სევდიანი ორი დღე... ღმერთო, გვიშველე, „შენ იხარე მუდამ, შენ იხარე მუდამ, ჩემო ქვეყანავ!“ — კარგა ხანს ჩამესმის დები იშხნელების ლოცვასავით ნამღერი.

**ვილენ მარდალეიშვილი**

დედაქალაქი

# უგულავას პრივილეგირებული მეჯიხურეები

(მეშვიდე გვერდიდან) 2011 წლის ოქტომბრიდან სავაჭრო ჯიხურების იჯარით სარგებლობის მსურველებს ელექტრონულ აუქციონში უნდა მიეღო მონაწილეობა. გაცემული 244 ლოტიდან შპს „ნუგეშმა“ 20 ლოტი მიიღო, თუმცა, არქიტექტურული სამსახურის ინფორმაციით, ამ კომპანიას თბილისის მასშტაბით 83 ჯიხური აქვს განთავსებული. სხვა ზემოხსენებულ პრივილეგირებულ კომპანიებს საერთოდ არ მიუღიათ აუქციონში მონაწილეობა და არც გახანგრძლივებაზე მიუღიათ თანხმობა, თუმცა, მათი სავაჭრო ჯიხურები ქალაქის მასშტაბით მაინც დგას.

აღნიშნული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ზემოხსენებულ კომპანიებს მხოლოდ აუქციონში მონაწილეობის შემთხვევაში ექნებოდათ სავაჭრო ჯიხურების განთავსების შესაძლებლობა, რის საფუძველზეც საია მიიჩნევს, ზემოხსენებული კომპანიების ყველა სავაჭრო ჯიხური კანონის მოთხოვნათა დარღვევით იყო განთავსებული.

იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული კომპანიები კანონს არღვევენ, თბილისის მერიის ცნობით, ქალაქის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ამ კომპანიების ჯიხურების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა: **„სწორედ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უშუალო ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებრივ ადგილებში გარევაჭრობაზე კონტროლის განხორციელება. მათ შორის დარღვევების გამოვლენა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება“,** — აღნიშნულია საიას კვლევაში.

საია თბილისის მერია რეკომენდაციით მიმართავს, რათა ზედამხედველობის სამსხურმა შესაბამისი ზომები მიიღოს და მოხდეს ყველა იმ კომპანიის ჯიხურების დემონტაჟი, რომელიც კანონის დარღვევით არის განთავსებული: **„შესაბამისი სტრუქტურები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ ყველა იმ გარემოებით, რომელთა შესახებაც წარმოდგენილ კვლევაში არის საუბარი“.**

მიუხედავად ამისა, თბილისის მერიას იურისტთა კვლევა სულაც არ აღელვებს. უგულავას უწყება კონკურსით თუ უკონკურსოდ კვლავაც ახდენს ჯიხურების გასხვისებას. მერიის ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ შემდგომი ჯიხურების აუქციონი, რომელზეც 590 ლოტი იქნება გამოტანილი, 12 თებერვლისთვისაა ჩანიშნული.

**სააგენტოს ინფორმაციით, პირველ ეტაპზე აუქციონზე 900 ლოტი იყო გამოტანილი, რომელთაგანაც 310 ლოტი უკვე გაცემულია. ამ დრომდე თბილისის მერიამ 18 აუქციონი გამართა.**

**ეკა ბაქრაძე**

რეპლიკა

## ნაცო კაცუნებო!

არა, ვცდები, თქვენ კაცუნებიც კი არა ხართ! თქვენ ბოროტი არსებანი ხართ, აღსავსენი ბოღმით, შურით, ღვარძლით, სიხარბით, გაუმაძღრობით, უზნეობით, კაცთმოძულეობით, უსამართლობით, უტიფრობით, სიბრიყვით, თვალთმაქცობით, ფარისევლობით, უზრდელობით, დიდი ტყუილით.

სამწუხაროა, რომ გინესის წიგნში არ არსებობს ყოველივე ამის შესაფერისი თავი, მაშინ ხომ ნამდვილად ვერავინ ვერ გაჯობებდათ; არ დაგჭირდებოდათ ზონდერ-ბრიგადები, შინაური თუ უცხოური ლობისტები. დარწმუნებული ვარ, გინესის წიგნის მესვეურნი დიდად დაინტერესდებიან თქვენი მსოფლიოში ჯერ არნახულ-გაუგონარი ფენომენით.

სასწრაფოდ გაგზავნეთ თქვენი მონაცემები!

დარწმუნებული ვარ თქვენს გამარჯვებაში!

**ლონდა მდივანი**


## განცხადება

**2013 წლის 11 აპრილს, დღის 12 საათზე შპს „ჯი ელ ემ ჯგუფ“-ის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ქუთაისი, შევჩენკოს 1 შესახვევი №12) გაიმართება ნავთობპროდუქტების საცავის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

**დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ქ. ქუთაისის და რეგიონების უზრუნველყოფა ხარისხიანი საწვავით.**

**საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:**

- **საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი). ქ. თბილისი, გულუას ქ. №6.**
- **საწარმოს ადმინისტრაციული შენობა, ქ. ქუთაისი, შევჩენკოს 1 შესახვევი №12.**
- **ქ. თბილისი, აბო-თბილელის ქ. №12.**

**საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:**

**ქ. ქუთაისი, შევჩენკოს ქ. 1 შესახვევი №12.**

**საკონტაქტო პირები: დავით ფირცხალაიშვილი, 599 55-54-66; გენადი უბირია, ტელ.: 579 02-01-10; 2-98-31-86.**

**მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 10 აპრილი დღის 12 საათამდე.**

**შპს „ჯი ელ ემ ჯგუფ“-ის დირექტორი დ. ფირცხალაიშვილი**

ძიუდო

# ოქროც, ვერცხლიცა და ბრინჯაოც



**პარიზის „დიდი სლემი?, რომელიც მცირე მსოფლიოს ჩემპიონატადაა მონათლული, აქამდე ქართველ ძიუდოისტთაგან შენგელი ფიცხელაურს, ამირან ტოტიკაშვილს, გიორგი რევაზიშვილს, გიორგი გუგავას და დავით ასუმბანს ჰქონდათ მოგებული. გასულ უქმეებზე მათს რიგებს ევროპის ჩემპიონი ვალერი ლიპარტელიანი შეემატა. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლიპარტელიანმა ხუთი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, თანაც ოქროს მედალთან ერთად 500 სარეიტინგო ქულა და 5000 დოლარიც მიითვალა. ქართველმა ფალავანმა ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან რუსი ვიქტორ სემიონოვი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი აზერბაიჯანელი შაჰინ კახრამანოვი, ფრანგი ლუდოვიკ გობერი, უზბეკი დილშოდ ჩორიევი, კუბელი ეშლი გონსალესი და პირველ ადგილზე გავიდა.**

მსგავსი წარმატებისთვის შეეძლო მიეღწია ავთანდილ ჭრიკიშვილსაც (81 კგ). ქართველმა ძიუდოისტმა ჯერ სერბი ალექსეი ნეფიოდოვი დაამარცხა, შემდეგ ბელგიელ ჟოაკიმ ბოტიოს, ბრაზილიელ ვიქტორ პენალბერს, იაპონელ კეიტა ნაგაშიმას სძლია და ფინალში უზბეკ იახიო იშამოვს დაუპირისპირდა. აქტიურადაც შეუტია, მაგრამ აზიელის კონტრილეთზე წამოეგო და იპონით დამარცხდა. ვერცხლის მედალმა ჩვენებურს 300 სარეიტინგო ქულა შესძინა.





ამირან პაპინაშვილი (60) პარიზის ტურნირის ვერცხლის პრიზიორია. ამჯერად ჩვენებური ბრინჯაოს დასჯერდა, არადა, სტარტზე მაროკოელი იასინე მუდატირი და მონგოლი ხერლან გამბოლდი იოლად ჩამოიშორა გზიდან. მართალია, მეოთხედფინალში რუსეთელ ბესლან მუდრანოვთან დამარცხდა, მაგრამ დამამშვიდებელში სამხრეთკორეელი ვონ ჯინ კიმი, ბრაზილიელი ფელიპე კეტადაი დაჯაბნა და კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 2 ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედლით პირველი ადგილი ფრანგებს ერგოთ. ერთი ოქროთი და ორი ვერცხლით მეორე ადგილი მონგოლებმა დაიკავეს, თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო საქართველოს მესამე ადგილისთვის ეყო. იაპონელები მე-4 ადგილს (1 ოქრო, 5 ბრინჯაო) დასჯერდნენ.

**გივი გაგუა**

რაგბი

# „ბორჯღალოსნების“ ორიდან ორი

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ერთა თასზე მეორე შეხვედრა გამართა და გათამაშების ცხრილში მეორე გამარჯვება ჩაიწერა. ამჯერად „ბორჯღალოსნებმა“ პორტუგალიელებს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლეს. მატჩი ქართველთა იერიშით დაიწყო და მალევე ხმალაძემ ლელოთი ანგარიში გახსნა. გარდასახვა უნაკლოდ კვირიკაშვილმა შეასრულა. ორიოდე წუთში სტუმრებმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში ოთხ ქულამდე შეამცირეს – 7:3.**

შესვენების შემდეგ პაექრობა უფრო საინტერესო გახდა. „ბორჯღალოსნების“ უპირატესობაც გამოიკვეთა და ქართველებმა საბოლოოდ 25:12 გაიმარჯვეს. ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხმალაძე, ყიასაშვილი, მჭედლიძე, კაჭარავა, ზიბზიბაძე, შარიქაძე, მაჩხანელი (კაპ), კვირიკაშვილი, ბეგაძე, ნარიაშვილი (ხინჩაგიშვილი), მამუკაშვილი (ბელქანია), ზირაქაშვილი (მირცხულავა), ჩხაიძე (მაისურაძე), მიქაუტაძე (ბიწაძე), სუთიაშვილი, გორგოძე, ბასილაია.



იმავე დღეს რუმინელებმა შინ რუსებს სძლიეს – 29:14, ბელგია და ესპანეთი დაზავდნენ – 21:21.

**ორი ტურის შემდეგ:** რუმინეთი – 8 (48:27), საქართველო – 8 (42:25), რუსეთი – 4 (27:38), ბელგია – 3 (34:38), ესპანეთი 3 (30:34), პორტუგალია – 1 (25:44).

**23 თებერვალს ითამაშებენ:** რუსეთი-საქართველო, ესპანეთი-რუმინეთი, პორტუგალია-ბელგია.

**ექვსი ერის თასი. II ტური.** ირლანდია – ინგლისი 6:12, შოტლანდია – იტალია 34:10, საფრანგეთი – უელსი 6:16.

ინგლისი – 4, შოტლანდია, ირლანდია, უელსი, იტალია – 2-2, საფრანგეთი – 0 ქულა.

**ლევან ცინცაძე**

კალათბურთი

# აქეთურ-იქითური

**სუპერლიგის XIII ტურში იშვიათი ფაქტი მოხდა – ჟურნალისტებმა დღის საუკეთესო მოთამაშედ დამარცხებული გუნდის წევრი დაასახელეს.**

საუბარია „სოხუმის“ გიგანტ სერგო ათუაშვილზე, რომელმაც გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან ბრძოლაში პარტნიორებს 20 ქულა შესძინა. აღსანიშნავია, რომ მან პირწმინდად დაჯაბნა მრისხანე ოპონენტი კირკ არჩიბეკი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეტოქეს ორი სამქულიანიც ჩაუგდო, თუმცა სენსაციის მოსახდენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – 56:59.



უკვე გაუწყეთ, რომ გასულ კვირაში სამშობლოში იმყოფებოდა ზღვისპირელთა პრეზიდენტი მინდია გულუა, რაც ბევრმა მისი კლუბის მომავალი მომძლავრების წინაპირობად მიიჩნია. არც შემცდარან – დევნილთა გუნდის მაისური ძალოვანთა წინააღმდეგ გამართულ მატჩში პირველად მოირგო სერბმა უკანახაზელმა ბოშკო სტოიაკოვიჩმა. წარმატებითაც. მისი 13 ქულა გვაფიქრებინებს, რომ ვაჟა კვარაცხელიას შეგირდები დანარჩენ ფავორიტებსაც მრავალ თავსატეხს გაუჩენენ.

რაც შეეხება გამარჯვებულებს, სასტარტო ხუთეულის ერთ-ერთი წამყვანი წევრის ჩაკ პრუეტის არყოფნაშიც მათ საკმარისი რესურსი აღმოაჩნდათ უილბლოდ განვითარებულ მოვლენებში გარდატეხის შესატანად (ბოქოლიშვილი, ლომოური, ლონდარიძე).

ბეწვის ხიდზე მოუწია გავლა ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „არმიასაც“. იგი წყლიდან მშრალად დასკვნით პერიოდში ამოვიდა, რასაც ლაშა ფარღალავას (20 ქულა) უნდა უმადლოდეს – 75:72. არადა, მანამდე თამაში მასპინძელ „ქუთაისს“ მიჰყავდა.

სეზონის რეკორდები დაამყარა „რუსთავმა“, რომელმაც „სამედიცინოსთან“ უთანასწორო დუელში შედეგიანობისა – 126:74 და ჩაგდებული სამქულიანების (20) მიღწევები გააუმჯობესა. პერიმეტრიდან ზუსტი ტყორცნებით განსაკუთრებით ვატადი და ნელსონი გამოირჩეოდნენ.

ტრადიციისამებრ, პრინციპული შერკინება შემოგვთავაზეს სტუდენტური დერბის მონაწილეებმა – თსუ-მ და სტუ-მ, თუმცა ომახიანი დებიუტის – 23:10 შემდეგ ამ უკანასკნელს ძალები აღარ ეტყო პირველი მოგების მოსაპოვებლად – 69:82 და პლეიოფში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა.

და ბოლოს, ორიოდე თბილი სიტყვა „ბათუმსაც“ შევაწიოთ, რომელმაც საწყის პერიოდში თბილისის „დინამოს“ სძლია – 17:16, თუმცა მოგვიანებით ძალამ აღმართი მაინც მოხნა – 72:48. ისვენებდა „ოლიმპი“.

ასე რომ, სატურნირო ცხრილში ოთხხელისუფლებიანობა გრძელდება – შსს აკადემიას, „რუსთავს“, „არმიას“ და „ოლიმპს“ მხოლოდ 2-2 დამარცხება აქვთ.

* * *

**ამ დღეებში ერთბაშად სამმა ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა სათასო ფინალებში, მიზანს კი მხოლოდ ვიქტორ სანიკიძემ მიაღწია.**

**იტალია. „მონტეპასკი“ – „ვარეზე“ 77:74.** ეს „ჯვაროსანთა“ ლიდერის პირველი ტიტულია ახალ კლუბში. სხვათა შორის, სიენელებმა ტრიუმფს მყარი საფუძველი დებიუტშივე ჩაუყარეს, როცა 18:0 დაწინაურდნენ.

**თურქეთი. „ფენერბახჩე“ – „გალათასარაი“ 63:57.** მანუჩარ მარკოიშვილი და კომპანია დასკვნითი პერიოდის დასაწყისში 48:43 იგებდა, მაგრამ ფინიში ჩააფლავა.

**საბერძნეთი. „პანათინაიკოსი“ – „ოლიმპიაკოსი“ 81:78.** გიორგი შერმადინის ყოფილ და ამჟამინდელ კლუბთა ჯახი, როგორც ყოველთვის, სტრესულ ვითარებაში წარიმართა და რამდენჯერმე შეწყდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჭადრაკი

# ბოლო ტურმა გადაწყვიტა

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 18 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც საკვალიფიკაციო ტურნირიც იყო, რადგან გამარჯვებულები მსოფლიოს პირველობის საგზურს, ვერცხლის პრიზიორები კი ევროპის პირველობაზე გამგზავრების უფლებას მოიპოვებდნენ.**





მთელი ტურნირი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა – საგზურების მფლობელები ბოლო ტურმა გამოავლინა. ნინო უნაფქოშვილმა შავი ფიგურებით ლიკა კობეშავიძეს სძლია და 7,5 ქულით ჩემპიონობა შეინარჩუნა. ნატო იმნაძე თეთრი ფიგურებით ადა ქაქუთიას დანებდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. მეორე ადგილი დეა გოგიშვილის მძლეველმა ანა კუჭავამ ირგუნა.

ვაჟებში ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა ირაკლი კელაპტრიშვილი დაამარცხა და 7,5 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ალექსანდრე ებრალიძემ, ირაკლი ბერაძემ და შალვა ნადირაშვილმა გაბრიელ ბეჭვაია, გიორგი სიბაშვილი და გიგლა ბენიძე დაჯაბნეს, მოაგროვეს 7-7 ქულა და უკეთესი კოეფიციენტით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს. ამდენად, მსოფლიოს პირველობაზე უნაფქოშვილი და ქუმსიაშვილი, ევროპაზე კი კუჭავა და ებრალიძე გაემგზავრებიან.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# უცხოური მოზაიკა




**აფრიკის ეროვნებათა თასი. ფინალი.** ნიგერია – ბურკინა ფასო 1:0. ეს ნიგერიელთა მესამე ტრიუმფია „შავ კონტინენტზე“. **მატჩი III ადგილისთვის.** მალი – განა 3:1.

* * *

**იტალია.** „იუვენტუსი“ – „ფიორენტინა“ 2:0, „კალიარი“ – „მილანი“ 1:1, „ინტერი“ – „კიევო“ 3:1, „ლაციო“ – „ნაპოლი“ 1:1, „სამპდორია“ – „რომა“ 3:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „ხეტაფე“ 6:1, „რეალი“ – „სევილია“ 4:1, „რაიო ვალეკანო“ – „ატლეტიკო“ 2:1, „ბილბაო“ – „ესპანიოლი“ 0:4, „სელტა“ – „ვალენსია“ 0:1.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ – „ევერტონი“ 2:0, „სანდერლენდი“ – „არსენალი“ 0:1, „საუთჰემპტონი“ – „სიტი“ 3:1, „ტოტენჰემი“ – „ნიუკასლი“ 2:1, „ჩელსი“ – „უიგანი“ 2:0.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „შალკე“ 4:0, „ბორუსია“ – „ჰამბურგი“ 1:4, „გლადბახი“ – „ლევერკუზენი“ 3:3, „აინტრახტი“ – „ნიურნბერგი“ 2:1, „შტუტგარტი“ – „ვერდერი“ 2:3.

**საფრანგეთი.** „პარი სენ-ჟერმენი“ – „ბასტია“ 3:1, „ევიანი“ – „მარსელი“ 1:1, „ლიონი“ – „ლილი“ 1:3, „სენტ ეტიენი“ – „მონპელიე“ 2:0, „რენი“ – „ტულუზა“ 0:2.

**გიორგი შოთაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## სამძიმარი

# აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმს

**გარდაიცვალა აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ცნობილი მეცნიერი მაჰმუდ ქერიმოვი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ სამძიმრის წერილი გაუგზავნა აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმს. წერილში კერძოდ ნათქვამია:**



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ დიდი გულისტკივილით შეიტყო აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, თვალსაჩინო მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის, აკადემიკოს მაჰმუდ ქერიმოღლი ქერიმოვის უდროო გარდაცვალების ამბავი.

აკადემიკოსმა მაჰმუდ ქერიმოვმა ფუნდამენტური წვლილი შეიტანა ელექტრონული ტექნიკის, ინფორმატიკისა და ორგანული ნახევარგამტარების განვითარებაში.

იგი ქართველ მეცნიერთა მეგობარი იყო. მაჰმუდ ქერიმოვის სახით არა მარტო დიდებული მეცნიერი, არამედ დიდებული ადამიანი დავკარგეთ.

ქართველი მეცნიერები გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ როგორც ჩვენს აზერბაიჯანელ კოლეგებს, ისე განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

მაჰმუდ ქერიმოვის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში

---

**ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ნანი გუგუნავას გარდაეცვალა შვილი**

**ნინო**

**ქალბატონ ნანის თბილისელი მეგობრები ნინოს დაკრძალვას ბათუმში ვერ დავესწარით. გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულებასთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ გამოვხატავთ ჩვენს უდიდეს მწუხარებას და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს.**

**ვიქტორია სირაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ეთერ ძემერტელიძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ლამარა გაგუა, მადონა მგელაძე, დალი ბოჯგუა, ქეთინო გაბრუაშვილი, ნელი, ლამარა ჯიძიები.**

---



**მეუღლე ლია ორკოშნელი, შვილი ვალერი, შვილიშვილი ლევანი, დები ქეთინო, ლიკა პაპიძეები, რძალი ანა ართმელაძე, სიძეები ნუკრი მიხანაშვილი, გია მეზურნიშვილი, ბიძები სევერა პაპიძე, გურამ გოგიაშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**თემურ ვალერიანის ძე**

**პაპიძე**

**დაკრძალვა 12 II, 14 სთ. სოფელ ახალქალაქში (კასპის რ.).**

---

**აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მწერალ ნოდარ ხუნდაძის მეუღლის**

**ვალენტინა ბარამია-ხუნდაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**თენგიზ და ნუგზარ ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ლაერტ დუღაშვილს დედის**

**მარია დუღაშვილის**

**გარდაცვალების გამო**

---

## ცდა და ცდისპირები

# ვინა ვართ, ანუ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!

**ცნობილმა მეცნიერმა პროფ. მარტინ სელიგმანმა საინტერესო ცდები ჩაატარა ძაღლებზე. ექსპერიმენტების პირველ ეტაპზე ძაღლები სამ გალიაში გაანაწილეს. პირველ გალიაში მოათავსეს ძაღლები, რომლებსაც წინასწარ შეასწავლეს ელექტროშოკის აპარატის გამორთვა ცხვირის დაჭერით, როცა ელ.დენის დარტყმის სიმძლავრე მათთვის უსიამოვნო ზღვარს მიაღწევდა. მეორე გალიაში მოთავსებულ ძაღლებს კი არ შეეძლოთ აპარატის გამორთვა, ხოლო მესამე გალიაში მოთავსებულ ძაღლებზე არავითარ ზემოქმედებას არ ახდენდნენ, ანუ სრული თავისუფლება მიანიჭეს. ცდები დაიწყეს დაბალი დენის სიმძლავრიდან და შემდეგ თანდათან გააძლიერეს. პირველ გალიაში მოთავსებულმა ძაღლებმა როგორც კი ზემოქმედება უსიამოვნო გახდა, მაშინვე დაიწყეს აპარატის გამორთვა — ცხვირის დაჭერით. ასეთივე ზემოქმედება მოახდინეს მეორე გალიაში მყოფ ძაღლებზეც. დაბალი სიმძლავრე მათ დისკომფორტს არ უქმნიდა, მაგრამ დენის შემდგომმა გაძლიერებამ საკმაო აგზნება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, თანამშრომლებს ექსპერიმენტი არ შეუჩერებიათ (რა თქმა უნდა, დენის ძალის გადიდება ხდებოდა სიცოცხლისთვის დასაშვებ ნორმებში). ძაღლებმა ჯერ ყეფა დაიწყეს, რომელიც საყოველთაო ღრიალში გადაიზარდა, შემდეგ იატაკზე გაიშხლართნენ და წკმუტუნი დაიწყეს.**

ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე სამივე გალიაში განთავსებული ძაღლები ერთ დიდ გალიაში მოათავსეს და აქაც დაიწყეს ელექტროშოკის აპარატით ზემოქმედება. წინა გალიებისგან განსხვავებით, ამ გალიის ერთ-ერთი ზღუდე დაბლა დაწიეს, რომელზეც საჭიროების შემთხვევაში ძაღლებს გადახტომა შეეძლოთ. როგორც კი ელექტროშოკის სიდიდემ მათთვის უსიამოვნო ზღვარს მიაღწია, ძაღლებს მოუსვენრობა დაეწყოთ. პირველ და მესამე გალიაში ადრე განთავსებულ ძაღლებს ბევრი აღარ უფიქრიათ, ზღურბლზე გადახტნენ და თავს უშველეს. ხოლო მეორე გალიაში ნამყოფი ძაღლები კი გაიშხლართნენ იატაკზე და ძველებურად საცოდავად წკმუტუნი დაიწყეს. მსგავსი ცდები სხვადასხვა ვარიაციებით საკმაოდ მრავლად ჩატარდა მსოფლიოს რამდენიმე კვლევით ინსტიტუტში. უამრავი ცდიდან მიღებული ფაქტობრივი მასალების გაანალიზების შედეგად მეცნიერებმა დაამუშავეს სპეციალური მეთოდი.

ორიოდე წლის წინათ მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგად მოსახლეობაში გამოწვეული დეპრესიის პროფილაქტიკის მიზნით დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სკოლებში სწორედ პროფ. მ. სელიგმანის მიერ შემუშავებული მეთოდის საფუძველზე შემოიღეს ოპტიმიზმის გაკვეთილები (მაგალითად, დიდი ბრიტანეთის 5000-მდე სკოლაში, ძირითადად სოციალურად ნაკლებად დაცული ქალაქის რაიონებსა თუ რეგიონებში განლაგებულ სკოლებში). ჩვენთან კი მათხოვრებად და დევნილებად ქცეული მოსახლეობის მოდელირებული ქრონიკა მოგვართვეს, რაზეც ჩვენც ქვეწოლითა და წკმუტუნით (ანუ „ჩუმად, არვინ გაგვიგოს“) ვუპასუხეთ.

აქვე აღვნიშნავთ შემდეგს, ბიოლოგმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ნებისმიერ ადამიანს, თუ ადამიანთა ჯგუფს, დაბადებიდანვე მიეცემა ინფორმაცია ბიოლოგიურ დონეზე იმ სიტუაციებსა და ხერხებზე, რომელიც მას საშუალებას აძლევს გაუმკლავდეს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს, ანუ არსებობს ამოუძირკვავი თანდაყოლილი ინსტინქტები, ქცევები, იმპულსები და რომ ჩვენი დღევანდელი ხერხები თავდაცვისა და გადარჩენისა ძირითადად არ განსხვავდება ჩვენი წინაპრების მეთოდებისგან, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინტერნეტით ვსარგებლობთ და მობილურები გვიჭირავს ხელში, ჩვენი ბიოლოგიური მატრიცა თაობიდან თაობას გადაეცემა — როგორც კონკრეტულ ადამიანს, ასევე ნათესავთა ჯგუფს, რომელიც აძლევს განუმეორებელ სახეს მოცემული ერის როგორც ფიზიკურ გარეგნობას, ასევე მის კულტურას გენეტიკურ დონეზე.

საოცარი ხალხია ეს ქართველები — აღმოხდა გაოცებულ რუს ვაჭარ ივლევს, როცა ის მეორედ ეწვია სტუმრად კახთა მეფე თეიმურაზ პირველს. რუსი ელჩების პირველი ვიზიტი კახეთში დაემთხვა შაჰ-აბასის საზარელ შემოსევებს. მან დატოვა გადაბუგული, მიწასთან გასწორებული, ძეხორციელისაგან დაცლილი სოფლები და ქალაქები, რალაც ათიოდე წლის შემდეგ გავერანებულ უდაბნოდ ქცეულ მხარეში წელგამართული, ბაღ-ვენახებში ჩაფლულ სოფლები დახვდა. მიუხედავად არნახული თავზარდამცემი საშინელებისა, ქართველმა კაცმა თავისი მეობა შეინარჩუნა და ქედი დროსა და უბედურებას არ მოუხარა. სპარსნი ამბობდნენ: „ქართველები მუხებს გვანან, ტყდებიან მაგრამ არ იზნიქებიანო“.

ორგანიზმის ყველაზე დამახასიათებელ თვისებას თვითგანახლება წარმოადგენს, რასაც ჯანმრთელობას ვუწოდებთ. ყველაფერი კი ადამიანის ღირსებიდან იწყება.

**მედეა თავამაიშვილი**

## ხსოვნა

# არდავიწყება მსხვერპლთა

„მემორიალი ეძღვნება 2004-2012 წლების პოლიტიკური რეჟიმის მიერ მოკლულთა ხსოვნას. ამ ადგილას 2006 წლის 2 მაისს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოკლეს 22 წლის ზურაბ ვაზაგაშვილი და 26 წლის ალექსანდრე ხუბულოვი.

ეს აღარასოდეს მოხდება, გადავარჩინოთ სიცოცხლე“.



ეს ორენოვანი ქართულ-ინგლისური წარწერა ამშვენებს შავი მარმარილოს სამმეტრიან სტელას, რომელიც გასულ შაბათს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იუსტიციის სახლის წინ ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდების მშობლების, ახლობელ-ნათესავების, მეგობრების, საზოგადოების წარმომადგენლების თანდასწრებით გაიხსნა. მეტად საგულისხმო იყო იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის გულშიჩამწვდომი სიტყვა, რომელმაც ჩადენილი ბოროტება დაგმო და მომავალში მსგავსის გამეორების დაუშვებლობას გაუსვა ხაზი, რისთვისაც მთელი ხალხის ძალისხმევის გაერთიანებაა საჭირო.

**ლალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

## განცხადება

„საქართველოს ენერგეტიკის აკადემია“ კიდევ ერთხელ აცნობებს აკადემიის წევრებს, რომ 2013 წლის 1 მარტამდე უნდა იყოს დაფარული აკადემიის საწევრო გადასახადის დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში „საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის“ წესდების 3.11 მუხლის თანახმად, აკადემიის წევრებს, რომლებსაც აქვთ სამი და მეტი წლის საწევრო გადასახადის დავალიანება, შეუწყდებათ აკადემიის წევრის სტატუსი. საქართველოს ენერგეტიკის აკადემია დამატებით გაფრთხილებებს აღარ გააკეთებს.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის საბანკო რეკვიზიტებია:

„საქართველოს ბანკი“ მფო 220101502,
მიმღები: საქართველოს ენერგეტიკის აკადემია
ს/კ 212273421,
ანგარიშის ნომერი: GE54BG0000000595296501

## ინფორმაცია

# ვირუსულ გრიპს ქალბატონი ემსხვერპლა

**ვირუსული ინფექციის შედეგად ღუდუშაურის კლინიკაში 42 წლის ქალი გარდაიცვალა.**

**როგორც გარდაცვლილის ახლობლები აცხადებენ, პაციენტი კლინიკაში 10 დღის განმავლობაში მკურნალობდა. იგი ამავე კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში მყოფი დის სანახავად პერიოდულად მიდიოდა, რის გამოც, სავარაუდოდ, მისი გრიპის ვირუსით ინფიცირება მოხდა.**

როგორც მომხდართან დაკავშირებით კლინიკის გენერალურმა დირექტორმა სოსო ბრეგვაძემ განაცხადა, ვირუსის ტიპის დასადგენად ანალიზები მათ დაავადებათა კონტროლის ცენტრს გადაუგზავნეს. მისივე ცნობით, პაციენტის გარდაცვალების მიზეზად ე.წ. ღორის გრიპის ვირუსი არ დადასტურდა.

— გარდაცვალების მიზეზი ვირუსით გამოწვეული ინფექციაა. აქ ე.წ ღორის გრიპის ვირუსი ტიპირებული არ არის, მაგრამ ეს გარემოებას არ ცვლის. ფაქტია, პაციენტი ვირუსული ინფექციით აღძრული მძიმე პნევმონიით გარდაიცვალა. ეს შემთხვევა მაინც საყურადღებოდ ჩავთვალეთ და სამინისტროს ოფიციალურად წერილობით ვაცნობეთ, — დასძინა კლინიკის გენერალურმა დირექტორმა.

ამასთან, ყიფიანმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ ღუდუშაურში კარანტინია გამოცხადებული.

ყიფიანმა განაცხადა, რომ კლინიკაში მნახველების შესვლა შეზღუდულია, რათა ამით ზამთრის პერიოდისთვის დამახასიათებელი ვირუსული ინფექციების გავრცელების რისკი შეამცირონ.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## სულიერება

# წმინდა მღვდელმთავარნი — ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი



**12 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდანებს, სამ დიდ ბურჯს სარწმუნოებისას, წმინდა ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს და იოანე ოქროპირს.**

კონსტანტინოპოლში იმხანად ცხარედ კამათობდნენ იმაზე, თუ ვისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა, რადგან თავიდან მღვდელმთავართა ხსენება სხვადასხვა დღეს იყო დაწესებული. ზოგნი ამბობდნენ, ბასილი დიდია უპირატესიო, მეორენი — გრიგოლ ღვთისმეტყველს მიიჩნევდნენ, სხვები — იოანე ოქროპირს. თურმე ამ მიზეზით ქრისტიანებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა... ვითარება მეტისმეტად დაძაბულა... ღვთის ნებით სამივე მღვდელმთავარი ერთად ეჩვენა მიტროპოლიტ იოანეს და განუცხადა: ჩვენ თანასწორი ვართ უფლის წინაშე, შეწყვიტეთ დავა, ერთ დღეს დააწესეთო ჩვენი ხსენება.

...ცნობილია, რომ გრიგოლი ღვთისმეტყველი ბასილი დიდის თანამოღვაწე იყო. ის ეკლესიის მტრებს ამარცხებდა თავისი მოძღვრული გულმოდგინებითა და პირადი ცხოვრების მაგალითით. უდიდესია ბასილი დიდის მოღვაწეობის მადლი, ისევე როგორც მისი თანამოძმის გრიგოლი ღვთისმეტყველისა. მათი ქადაგებები, მათი წირვა ხომ სადღესასწაულო გალობების, და არა მარტო მათი, ღვთის შეწირვაა!

იოანე ოქროპირს აქებდნენ მთელ ქრისტიანულ სამყაროში... მან წმინდა წერილის შთაგონებული განმარტებანი დაგვიტოვა.

ბიჭვინთაში, ქალაქ კომანში სიკვდილის წინ მან ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „დიდება ღმერთსა ყველაფრისთვის.

**გიული ლიპარტია**

## დაიჯესტი

### სიბერის ჰორმონი – სიცოცხლის სადარაჯოზე

**სავსებით შესაძლებელია, რომ მთავარი მკვლელი ავადმყოფობები — შაქრის დიაბეტი, ინფარქტები, სარძევე ჯირკვლის კიბო და სხვ. — გარკვეული ჰორმონის ზეგავლენით იწყებენ განვითარებას.**

ყოველ შემთხვევაში ამას აცხადებს ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ოლე მელანდერი, რომელმაც 4,5 ათასი კაცი გამოიკვლია. ჩვეულებრივი გამოკვლევის გარდა, მან სხვადასხვა ჰორმონის დონის ტესტირებაც ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ მრავალი სახიფათო სნეულების განვითარება სისხლის პლაზმაში ჰორმონ პრონეიროტენზინის შემცველობის მომატებას უკავშირდება. როცა მისი დონე ნორმაშია, მაშინ იგი გაძღომის გრძნობას არეგულირებს, რისი წყალობითაც ჩვენ ვგრძნობთ, რომ დავნაყრდით. მაგრამ მის გამომუშავებაში ცვლილება შეიძლება განგაშის ნიშნად მივიჩნიოთ: პრონეიროტენზინის 20-30 პროცენტით მომატებას გულის დაავადებათა 20-30, ხოლო მკერდის კიბოსა და დიაბეტის რისკს 150 პროცენტით ზრდის. ამასთან, აღმოჩნდა კიდევ ერთი უცნაურობა: ჰორმონის შემცველობა სისხლში იზრდება ავადმყოფობის განვითარების დაწყებამდე ორი წლით ადრე და კიდევ უფრო მეტად მატულობს სიკვდილამდე 2-3 წლით ადრე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაყრების ჰორმონის მომატება, ფაქტობრივად, სიკვდილის მოახლოების მარკერია!



დოქტორ მელანდერს მიაჩნია, რომ ჰორმონის შესახებ ახალ ცოდნას შეუძლია დიდი სამსახურის გაწევა სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემის გადაჭრაში. საქმე ისაა, რომ პრონეიტენზინის შემცველობაზე ანალიზებს შეუძლია მედიკოსებს ადრევე ამცნოს სახიფათო სნეულების განვითარების დასაწყისის შესახებ და მისი ჩანასახშივე დაძლევის შესაძლებლობა მისცეს მათ.

### მატარებელი – გულის გამხარებელი



**იმის მიუხედავად, რომ საჰაერო ტრანსპორტი გრძელ მანძილებზე გადაადგილების ყველაზე სწრაფი საშუალებაა, მთელ მსოფლიოში ჩქაროსნული სარკინიგზო მიმოსვლა წლიდან წლამდე სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება.**

ჩქაროსნული მატარებლის ყველაზე დიდი სიჩქარე საფრანგეთში 2007 წელს დააფიქსირეს, სადაც მატარებელი TGV საათში 574 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმავე საფრანგეთში, ჩინეთში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში, რომლებიც ამ ტიპის სამგზავრო გადაზიდვების ლიდერები არიან, მატარებლები საათში 350 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობენ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



#### რატომ განაცხადა უარი ილია მეორემ, სააკაშვილის სიტყვით გამოსვლას დასწრებოდა?

ამის თაობაზე ექსპერტი მამუკა არეშიძე ამბობს: — მისი ეს ნაბიჯი იყო დემონსტრაციული. მინდა გითხრათ, რომ პატრიარქს აქვს უნარი, ერთი მხრივ, დაიცვას ტრადიციული პრინციპები და მეორე მხრივ, ძალიან კატეგორიული იყოს თავისი საქციელით. თუ გახსოვთ, 7 ნოემბრის შემდეგ მან მხოლოდ ერთი რამ გააკეთა — გულისწყრომა გამოთქვა იმის გამო, რაც მოხდა და მიკროფონს ხელი გაჰკრა. ამ ჟესტით მან ხაზი გაუსვა იმ უკიდურეს აღშფოთებას, რომელიც მას ჰქონდა. არ მივიდა სააკაშვილთან იმის გამო, რომ თვლის, რაც მოხდა, ეს იყო პროვოკაციული, ორიენტირებული სამოქალაქო დაპირისპირებაზე.

**„ქრონიკა“**

#### — გამოიძიონ დღეს დვალიშვილის მკვლელობის საქმე და იმასაც გაარკვევენ, ვინ შეჭამა ჩვენი ანაბრები!

— საქმე იმაშია, რომ არც სააკაშვილის მთავრობას არ აწყობდა ამ საქმის გამოძიება, იმიტომ, რომ დემურ დვალიშვილს სიაში მათი გვარებიც ეწერა. მთელი ოცი წელია, საქართველოს მთავრობაში ის პირები არიან, რომლებმაც მაშინ ხალხის ხარჯზე უზარმაზარი ფული იშოვეს. აი, რატომ არ იძიებენ ამ საქმეს, — ამბობს „ეკონომიკურად და სოციალურად დაზარალებული „მოქალაქეთა კავშირის“ ხელმძღვანელი მალხაზ ცისკარიშვილი, — შევარდნაძის ხელისუფლებამ ეს თანხა აღიარა შიდა ვალად, სააკაშვილმა კი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს თემა საერთოდ მოკლა. უფრო მეტიც, მან განაცხადა, რომ საქართველოს შიდა ვალი აღარ აქვს.

**„ასავალ-დასავალი“**

#### რა პროვოკაციას გეგმავენ „ნაციონალები“ სტუდენტებში

პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამა სტუდენტთა დაპირისპირების მიზეზი ხდება. დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მემანიშვილი აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა საეჭვო მიზნებისა და შედეგების მქონე პროგრამის რეანიმაციას ცდილობს, რაც სტუდენტებს შორის დაპირისპირებას და ახალი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების გაზრდას ემსახურება.

**„ვერსია“**

#### ვანო მერაბიშვილი და შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტოდ ემზადებიან

რამდენიმე თვეც და საქართველოში დიდი საარჩევნო ციებცხელება დაიწყება. ოქტომბრის თვეში საქართველო ახალ პრეზიდენტს აირჩევს. სანამ მმართველი გუნდი ფიქრობს და ოცნებობს, სხვა პარტიები მოქმედებაზე გადავიდნენ. უკვე ცნობილია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს შალვა ნათელაშვილი. ამის შესახებ თვითონ განაცხადა. „ნაციონალებში“ კი პირველ სავარაუდო კანდიდატად ქვეყნის ხერხემალი ვანო მერაბიშვილია დასახელებული.

**„ახალი თაობა“**

#### „ოქრუაშვილმა საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალება ცხოვრების წესად გაიხადა“

შიდა ქართლის ყოფლი გუბერნატორი, პოლიტდევნილის სტატუსის მქონე მიხეილ ქარელი უახლოეს მომავალში საქართველოში დაბრუნებას და სამართლიანობისთვის ბრძოლას აპირებს. მანამდე კი მან რამდენიმე წლის დუმილის შემდეგ თქვა, რომ, ნანობს, წინა ხელისუფლების რეჟიმის მხარდამჭერი და მისი პოლიტიკის გამტარებელი რომ იყო. მიხეილ ქარელი აპირებს ჩვენებების მიცემას და ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას.

**„რეზონანსი“**

## ანეკდოტები

ექვსი წლის მიხო ეკითხება მამამისს, რომელმაც იგი მკაცრად დასაჯა:

— მამი, როცა შენ პატარა იყავი, მამაშენი გცემდა?

— კი.

— როცა პაპა იყო პატარა, მასაც სცემდა მამამისი?

— რა თქმა უნდა. რად მეკითხები?

— მინდოდა გამეგო, რომელმა იდიოტმა დაიწყო ეს პირველად?

* * *

ფირმაში ტელეფონი რეკავს:

— ალო, გოგონი, მიიღეთ ფაქსი!

— ილაპარაკეთ, ვიწერ.

* * *



სტუდენტი დარაჯად მოეწყო ბაზაში.

— აქ ინახება წითელი ხიზილალა, აქ — შავი, აქ — ზუთხი, აქ — სათალი... უხსნიან მას.

იგი უსიტყვოდ უსმენს.

— თქვენ რა, არ გაინტერესებთ, რამდენი გექნებათ ხელფასი?

— როგორ, აქ ხელფასსაც იძლევიან?

* * *

ცოლთან ერთად ვბრუნდებით ქორწილიდან. მე მთვრალი უკეთ ვმართავ მანქანას, ვიდრე ჩემი ფხიზელი ცოლი. მაგრამ როგორ გინდა, რომ ეს აუხსნა ავტოინსპექტორს?

* * *

— მიხო, შენი მანქანა რა ხანია სადარბაზოსთან დგას, არსად არ დადიხარ. ხომ არ გაგიფუჭდა?

— არა. უბრალოდ ისე მოხერხებულად დავაყენე, რომ მეშინია, თუ გავიყვანე, ამ ადგილას სხვა დააყენებს.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com